


აგვისტოს ომის მთავარი ღამნაშავე!



„როდესაც ევრო-პარლამენტარებმა მოითხოვეს, გაათავისუფლეთ სააკაშვილი, მას კიდეც მიუმატეს წლები, მომავალშიც თუკი ანალოგიური მოხდება, სავარაუდოდ, მის წინააღმდეგ გადადგმული საქმეები გაიხსნება“



დიდი რეჟისორის დიდი სახელი

ქართველი ხალხის ერთ-ერთ უსაყვარლეს შემოქმედს, გამოჩენილ რეჟისორს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, უიმედოთესი პიროვნული თვისებებით გამოირჩეულ პიროვნებას მწრად კო-პროდუსერს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა!

საქართველოს ტელევიზიების სტუდიის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოფაკულტეტის პედაგოგი, კინოს ენისა და სტრუქტურული კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა რეჟისორთა კავშირის – „ახალი სტუდიის“ დამფუძნებელი და დირექტორი წლების განმავლობაში ახარებდა ქართველ ხალხს თავისი ფართოფორმატიანი და დოკუმენტური ფილმებით – „ხმელი წიფელი“, „არდადეგები“, „მისა“, „დიდი მწვანე ველი“, „გზა მშვიდობისა, ჯაყო“, „თუ დაგიშვებო იერუშალაიმ“, „ქართველი მამულში ეგვიპტეში“, „ღვინის აკვანი“ და სხვ.

გამოჩენილი რეჟისორი, პედაგოგი და ახალგაზრდობის მოძღვარი დღესაც საოცარი მონღოლებით აგრძელებს მოღვაწეობას!

ხალხის უსაზღვრო სიყვარული და უფლის წყალობა მფარველობს მის ეროვნულ შემოქმედებას!

გილოცავთ დაბადების დღეს, ბატონო მერაბ! ჯანმრთელობას და შენთვის საფიცარი მამულის სამთლიანებასა და აღორძინებას ვისურვებთ!

ლილი სიმეორაშვილი
 და პატივისცემით
 თამაზ შილაკაძე,
 საქართველოს კულტურის ღონის
 თავმჯდომარე, აკადემიკოსი.

სად ერეკლე და ③ სად – ალუბლის ბაღი!



დიდ ქვეყნებთან საქართველოს არასოდეს გასდის მართალი

იტალიაში დაუნჯებული ეპისტოლარული მემკვიდრეობა საქართველოში დაბრუნდა ⑤

როგორ საუბრობს ტრამვი ④
კრემლთან?



კერძო სკოლებისადმი ინტერესი მზარდია, თუმცა იქ სწავლის ღონე არ უმჯობესდება ⑦

3:0




გიორგი მიქაუბაძის მეორე გოლი

გამარჯვებას ანაჲ ჰქვია!

გუშინ, გვიან საღამოს, ვრევენო გაიმართა სომხეთისა და საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა ერთა ლიგის პლეი ოფში.

როგორც მოსალოდნელი იყო, პლეი ოფის პირველი შეხვედრა უდრესად დაძაბული გამოდგა და დამთავრდა ქართველ ფეხბურთელთა მრწყინვალე გამარჯვებით – 3:0. (ვრცლად მორიგ ნომერში). საპასუხო მატჩი 23 მარტს, თბილისში, „დინამო-არენაზე“ გაიმართება.

გვეამაყება ⑥ ლომის(ძ)ეთა გვარიშვილობა





ირაკლი კოხანიაძე:

სიპარტილა მაინს გაიგარჯვებს!

თბილისში და ყველა სხვა მუნიციპალიტეტში მოვიგებთ მერის და საკრებულოს არჩევნებს, ოპოზიციას არაპოპულარული რესურსი არ აქვს, რაიმე არსებითი კონკურენცია გაგვიწიოს!

გაპირებთ 64-ვე მუნიციპალიტეტში როგორც მერის, ასევე საკრებულოს არჩევნების მოგებას. ამისთვის გვაქვს ყველა საჭირო რესურსი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კოხანიაძემ პირველ არხთან ინტერვიუში განაცხადა.

რაც შეეხება თბილისის მერის არჩევნებს, პრემიერის თქმით, კახა კალაძის კანდიდატურა არის უალტერნატიუო.

– მოლოდინები გვაქვს ძალიან ოპტიმისტური. ვაპირებთ 64-ვე მუნიციპალიტეტში როგორც მერის, ასევე საკრებულოს არჩევნების მოგებას. ამისთვის გვაქვს ყველა საჭირო რესურსი, მათ შორის, შეგიძლიათ, გადახედოთ წინა არჩევნების შედეგებს მუნიციპალიტეტების მიხედვით და დარწმუნდებით, რომ ამსოლულად უმრავლესობაში საერთოდ კონკურენციასაც კი ვერაფერი გაგვიწევს. რაც შეეხება სოციოლოგიურ კვლევას, ჩვენი კვლევის შედეგები არის იმის იდეალური, რაც იყო ბოლო კვლევაში დაფიქსირებული და არის მცირე გაუმჯობესება კი. იმდენად ჩამოშლილია ოპოზიციის, რომ მათი მხარდაჭერები არის მოკლებული. წინა არჩევნებზე ჩვენ ქვეყნის მასშტაბით ავიღეთ დაახლოებით 54,5%. ამაზე უკეთეს შედეგს ველოდებით ბოლო კვლევებიდან გამომდინარე, რომელსაც ვადარებთ არჩევნებამდე ბოლო კვლევას. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ 64-ვე მუნიციპალიტეტში მოვიგებთ როგორც მერის, ასევე საკრებულოს არჩევნებს.

აგენტურული „რეპოლუსიის“ საწინააღმდეგო კანონები ოპონენტებს არასდროს არ მოეწონებათ!

უპირობოდ ვითარება იყო 28 ნოემბერიდან ხუთი დღის განმავლობაში, ვიდრე არ შევიდნენ ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურები პარტიულ ოფისებში, ვიდრე არ ამოიღეს შესაბამისი მასალები და ვიდრე არ მიიღეს, გოგადად, შესაბამისი ზომები, მანამდე გრძელდებოდა ეს ნაგავილი ომის იმ-ტაციის და ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეწყობის მცდელობა...

ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია 400 ხმით, თუ მეტი, და ჩანერა, რომ კრიმინალები უნდა გავათავისუფლოთ, ხელისუფ-

ლება უნდა დაისაჯოს, ქვეყანა უნდა დასაწყვირდეს, ათასი უმეტესობა და სალომე ზურაბიშვილი გამოაცხადეს პრეზიდენტად. საბეზოვილი აღარ მიიჩნევს სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად, ხაზიშვილმა როგორ უნდა გატოლოს ჯეჟაში 400 ევროპარლამენტარს?

დღეს არის ტრაგიკული მდგომარეობა ევროპარლამენტში. როგორ შეიძლება, ახას მფავედ არ დაუპირისპირდეს? რაზე შენს გვითხვით, რომ ამაზე არ შეუძლებს ევროპარლამენტს მფავედ? ეს ხომ არ არის ჩვენი ინიციატივა და სურვილი.

გამოდიან, რაღაც სიგიჟეს წერენ, პირდაპირი გაგებით სიგიჟეს საკუთარ რეზოლუციაში, შენ არც უნდა უპასუხო, უნდა იტყვი ასე. როგორ წარმოუდგენიათ, ან თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, როცა ასეთ სიგიჟეს წერენ ევროპარლამენტის რეზოლუციაში, რომ ზურაბიშვილი არის თურმე პრეზიდენტი? „სორისის ფონდში“ გამოკეტილი ქაჯეთის ციხესავე და არის „მაკკეინის ინსტიტუტის“ სტიპენდიანტი, ეს არის მისი რეალური სტატუსი.

ამ ქალზე ამბობენ, რომ ეს არის პრეზიდენტი და ამას ვინმე კი არ ამბობს, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ან ლევან ხაბეიშვილი, ამბობს კი გაიგეს, რომ სხვა რამეშია საქმე, 400 ევროპარლამენტარი ამბობს ამ სიგიჟეს. იგივე სიგიჟე, რომ კრიმინალები უნდა გაათავისუფლოთ თურმე, ქვეყანა უნდა დასაწყვირდეს, ქვეყანა უნდა დაისაჯოს, არა თუ ხელისუფლების წარმომადგენლები და ამაზე არ უნდა უპასუხო. შენ უნდა დადგე და ეს უნდა მიიღო, როგორც მოცემულობა, პოზიტიური მოვლენა, უარესი, არ ვიცი. იგივე ეხება ნებისმიერ ქვეყანას. მეტი რა გვაკეთოთ, ესტონეთი და ლიეტუვა გაპოვიდნენ და პირდაპირ დაასაწყვირეს უმაღ-

ლესი თანამდებობის პირები, სხვა ზომები მიიღეს და ა.შ. ათასი განცხადება გააკეთეს. ჩვენ ერთადერთი, რაც გვაკეთეთ, განცხადებებით შემოვიფარგლეთ. ასეთ დროს სხვა ქვეყანა, შეიძლება, სხვანაირად მოქცეულიყო და უმეტესობა სხვანაირად მოიქცეოდა, იმავე ზომებს აამოქმედებდა შესაბამისი ქვეყნის მიმართ, მაგრამ, ყველაფრის გათვალისწინებით, გამოვედით და მწვავედ შევაფასეთ ეს ამსოლულად სამარცხვინო გადაწყვეტილებები, რომელიც არის გადანაყვებილები ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ!

ჩვენ გვაქვს თანმიმდევრული პოლიტიკა და ამიტომ ვართ წარმატებულნი!

ქვეყანას ევროინტეგრაციის გზაზე ოთხი ხელშეწყობა შედეგი ჰქონდა – ასოციაციის შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ვიზალიზაცია-ლიზაცია და კანდიდატის სტატუსი.

– ოთხივე იყო წინააღმდეგობა, თუმცა ოთხივე შემთხვევაში მივაღწიეთ შედეგს. განსაკუთრებით მძიმე იყო წინააღმდეგობა კანდიდატის სტატუსის შემთხვევაში. აქაც რეალურად ბრძოლით და კარგად გააზრებული, თანმიმდევრული პოლიტიკით მოვიპოვეთ კანდიდატის სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატის სტატუსი თავიდანვე იყო მოაზრებული, როგორც ინსტრუმენტი ქვეყანაზე გეოლოგიის. როდესაც ეს საკითხი დადგა დღის წესრიგში, ეს იყო ომიდან მეხუთე დღე, 28 თებერვალი ან 1 მარტი, როდესაც უკრაინას შესთავაზეს განაცხადის შეტანა კანდიდატის სტატუსზე. ეს გავიკვირდა ერთი მარტივი მიზეზის გამო – ამ დროს რუსული ტანკები მესული იყო უკვე კიევიში. მაშინ ყველაზე რთული ვითარება იყო და ასეთ დროს კანდიდატის სტატუსზე განაცხადის შეტანის შეთავაზება უკრაინისთვის ამსოლულად ალოგიკური იყო ჩვენითვის. მაშინვე გავიჩინა აზრი, რომ რეალურად კანდიდატის სტატუსის თემა მოაზრებული იყო, როგორც შანტაჟის ინსტრუმენტი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ჩვენ, რა თქმა უნდა, შევიტანდით განაცხადს კანდიდატის სტატუსზე, თუმცა, სამოლოო ჯამში, მოხდებოდა ისე, რომ უკრაინა და მოლოდინი მი-

იღებდნენ კანდიდატის სტატუსს და ჩვენ – არა. ეს იყო ჩვენი პროგნოზი, რაც მეორე დღესვე გავეზიარეთ უმრავლესობის წევრებს.

უმრავლესობასთან შეხვედრისას გაიმართა დისკუსია და ორი დღის განმავლობაში საქართველოს არ შეჰქონდა განაცხადი, თუმცა მესამე დღეს გაკეთდა საჯარო განცხადება კანდიდატის სტატუსზე განაცხადის შეტანასთან დაკავშირებით და მაშინვე დაიწყო აქტიური მუშაობა.

მოგაშაღეთ დაახლოებით 5000-გვერდიანი დოკუმენტი, მთელი საჯარო სამსახური და პოლიტიკოსები იყვნენ ჩართული ამ პროცესში და ყველაზე დახვეწილი განაცხადი წარვადგინეთ ევროკავშირში, თუმცა შედეგად მივიღეთ რა? უარი ივნისში კანდიდატის სტატუსზე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მაშინ როდესაც საქართველო ბევრად უსწრებს წინ როგორც უკრაინას, ისე მოლოდინს ყველა მიმართულებით. არ შევედართ უკრაინას, ომში მყოფი ქვეყანა, შევედართ მოლოდინს. ეკონომიკური კუთხით, მარტო ამ სამ წელიწადში, მოლოდინს გავასწარილ დაახლოებით ცხრა მილიარდი დოლარით, გავზარდეთ სხვაობა მოლოდინსთან იმის გამო, რომ ჩვენ გვაქვს უფრო ფექტიანი, სწორი და რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა. მოლოდინში ეკონომიკური პოლიტიკა არის უსუსტესი, ინსტიტუტები არის უსუსტესი, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების კუთხით შედარება არ არის საქართველოსთან, იმდენად არის ჩამორჩენილი, დსთ-ის წევრი ქვეყანაა. არის ქვეყანა, რომელსაც უნდა, ერთდროულად დარჩეს დსთ-ის წევრად და გახდეს ევროკავშირის წევრიც. რაზეა აქ საერთოდ საუბარი, ხელისგულზე დევს, რომ იყო აშკარა უსამართლოება. კორუფცია ყველის, ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანაა ევროპის მასშტაბით და ასეთ დროს მოლოდინს აძლევ კანდიდატის სტატუსს და საქართველოს არა, გასაგებია, რაც შეიძლება იდგეს ამის უკან. უსამართლობას ყოველთვის აქვს ხოლმე გარკვეული მიზეზი და ამას შეიძლება ჰქონდეს ერთადერთი ახსნა – რეალობა იყო ის, რაც ჩვენ გავთვალეთ თავიდანვე. რეალურად არავის ანტერესებდა, სხვათა შორის, არც უკრაინის, არც მოლოდინის და არც საქართველოს ევროინტეგრაცია, ეს ყველაფერი „დიფ სთაისი“, გლო-გალუში ომის პარტიის მხრიდან გააქმდა იმისთვის, რომ კანდიდატის სტატუსის თემა გამოეყენებინათ პანაშოისთვის ხელისუფლების წინააღმდეგ!

შალვა პაპუაშვილი:

დაუშვებელია შურნალისტის დათრგუნვა!!!

სწორედ საფრანგეთის ელჩის მხრიდან წაყრუების შედეგია, რომ ამაჟრად ზიზღის სამიზნე საზოგადოებრივი მაუწყებლის შურნალისტია. ვნახოთ, როგორ მოიქცევა ამაჟრად ელჩი, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი წერს.

„რამდენიმე დღის წინ, საქართველოში საფრანგეთის ელჩის მიერ მხარდაჭერილი „ენჯელის“, „საფარის“ ხელმძღვანელმა მსგავსი ზიზღის ენა გამოიყენა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართ. მაშინ საჯაროდ მოვეუწოდეთ ელჩს, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. ელჩი ამ პასუხისმგებლობას გაექცა.“

სწორედ ელჩის მხრიდან წაყრუების შედეგია, რომ ამაჟრად ზიზღის სამიზნე საზოგადოებრივი მაუწყებლის შურნალისტია. ამაჟრად ზიზღის გამოვლენა, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ცალკეული რადიკალი აქტივისტის დაზიანებული ემოციური მდგომარეობის გამოხატულება. მას კონკრეტული ამოცანა აქვს – სამიზნეში ამოყვანილი შურნალისტის დაზიანება, შევიწროება, დათრგუნვა. ვნახოთ, როგორ მოიქცევა ამაჟრად საფრანგეთის ელჩი, მოუწოდებს მის მიერ მხარდაჭერილ ადამიანს ღირსების შემლახველ ქვეყნისგან თავშეკავებისკენ თუ წაყრუებით წახალისებს ზიზღის ახალ აქტს.“

გადაღებული საქმეები გაიხსნება“

ელიშეი გვენებაი:

**აგვისტოს
ომის
მთავარი
ღამნაშავე!**

სად ერიეკლე და სად ელუბლის ბადი!

მანანა ნოზაძე

„საქპატენტი“ ეფექტურად მუშაობს!

შენევის აქტიან შვერთემას ნინ უდოდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ (შემდგომ – საქპატენტი) მიერ განხორციელებული რეფორმა. კერძოდ, მომზადდა „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2023 წლის 21 სექტემბერს. აღნიშნულმა კანონმა განსაკუთრებულ დაარეგულირა გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციის პროცედურა, კერძოდ, „საქპატენტთან“ ერთად, ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის გამხილველ ეროვნულ კომისიას მიეცა პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, გაზარდა რა შენარჩუნა გაერთიანებების ფუნქციები, კანონმა ხელი შეუწყო მათ გაძლიერებას. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ჩამოაყალიბა საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნებით ნიშანდებული პროდუქტის კონტრების სისტემა. მნიშვნელოვანია, რომ რეფორმა განხორციელდა ევროკავშირის ხელშეწყობით, „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების ფექტიანი დაცვისა და კონტრების სისტემის დანერგვის“ ტეინინგის პროექტის ფარგლებში და მიზანდ ისახავდა შენევის აქტიან პარმონინებას. „საქპატენტის“ მხრიდან ფექტიანი პოლიტიკის გაგრძელებად უნდა მი-

**საქართველო „ადგილწარმოშობის
დენახელებებისა და გეოგრაფიული
აღნიშვნების შესახებ ლისაბონის
ეთანხმების შენახვის აქტს“ შეუერთდ**

დღეის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 39 ადგილმარბოშოშის დასახელება და 31 გეოგრაფიული ანიშვნა. მათ შორისა მავალითად, ღვინის ადგილმარბოშოშის დასახელებები: ხვანჭკარა, წინახდალი, ახამენი; მინერალური წყლები: ნაშელავი, სარბე, მორჯობი; გეოგრაფიული ანიშვნები: ქვევრი, ჭაჭა, ჩერჩხილი, სულგუნი და სხვა. უწევს აქტთან მიერთებით კი საქართველოს გაუჩნდა მესაძლებლობა, გაზარდული და მოქნილი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმის დასახელებით დაიცვას როგორც რეგისტრირებული ადგილმარბოშოშის დასახელებები, ისე გეოგრაფიული ანიშვნები.

ჩვენს გამოცემა „IDNES“ (Idnes) აქვეყნებს სტატიას სათაურით „როგორ საუბრობს დონალდ ტრამპი კრემლთან? პრეზიდენტმა ვრთაბანეთს ჩვეულებრივ მოკვდავებთან არ უნდა ვაპრობო“ (ავტორი – მილან ვოლიჩეკი). მასში გადმოცემულია, თუ როგორ ხდება პრეზიდენტის სატელეფონო საუბრების ორგანიზება, ვინ ესწრება სატელეფონო საუბრებს და რატომ არ ინახავენ საუბრის ოფიციალურ აუდიოჩანაწერებს აშშ-ში.


გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:

მე თქვენ ფიქრობთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი უცებ ეტყვის თავის პრესსამსახურს – „აბა პუტინს დამაკავშირეთო“, ან თვითონ სწავლება ყურმილს და ნომერს აკრეფს, ან მობილურ ტელეფონს აიღებს და ტუალეტში წავა თავის რუს კოლეგასთან სალაპარაკოდ, მაშინ ჰოლივუდის ფილმების ყურებას თავი უნდა დაანებოთ!.

სახელმწიფოს მეთაურებს შორის სატელეფონო საუბრები ერთ წუთში არ ხდება, ისინი საუბარ ხნის განმავლობაში მზადდებიან: წინასწარ ღვება „მაშველთა“ სია, რომლებიც პრეზიდენტის ახლოს დგანან (სხედან) და რჩევებს აძლევენ, ანაშენებენ, კარნახობენ, არგუმენტებს აწვდიან ან დაზნეულობიდან გამოჰყავთ.

როცა უკვე საუბრის დრო დანიშნულია, ხდება სატელეფონო საუბრის იმპროვიზაცია – „შავი გადარეკვა“: მრჩეველები ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ამზადებენ სასაუბრო თემებს, არგუმენტებს, მანევრირების შესაძლებლობებს და კითხვებს მოსაუბრისათვის. ზუსტდება ფორმულირებები. ეს

როგორ საუბრობს ტრამპი კრემლთან?



ყველაფერი ძალიან მოგვაგონებს წინასწარჩენილ დებატების მომზადების პროცესს.

შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ თეთრ სახლშიც და კრემლშიც „შავი გადარეკვები“ მოაწყვს ორმხრივ სალაპარაკო და სამზამთარსაც, სანამ დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის საუბარი შედგებოდა. ყველაფერი მომზადდა იმისათვის, რათა პრეზიდენტებს ზუსტად სცოდნოდათ, რისი თქმა იყო საჭირო და რისი თქმა არ შეიძლებოდა.

შემდეგ, უშუალოდ საუბრის წინ პრეზიდენტებს მაგიდაზე უდებენ „საგზაო რუკას“ პუნქტებით, რომლის რიგითობა მან უნდა დაეცვა და რომლის დარღვევა არ შეიძლება, ინიციატივის შენარჩუნების მიზნით.

შეთანხმებულ დრომდე ცოტა ხნით ადრე ტექნიკური სპეციალისტები სპეციალური ხაზს

კიდევ ერთხელ ამოწმებენ (თეთრი სახლიდან რეკავენ კრემლში და პირიქით). თუ ყველაფერი რიგზეა და კავშირი საუკეთესო დონისაა, თანამშრომლები პრეზიდენტებს ტელეფონის ყურმილის ასაღებად ინვევენ.

აშშ-ის პრეზიდენტი თავის რუს კოლეგასთან ყოველთვის ოვალური კაბინეტიდან საუბრობს. მის გვერდით იმყოფება პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში, იმ დეპარტამენტის დირექტორი, რომელსაც რუსეთის საქმეები აბარია, რუსეთის საქმეთა მცოდნე თანამშრომლები, დამფარვის უფროსი და კიდევ ერთი-ორი პირადი მრჩეველი. ეს საკმაოდ უცნაური სურათია: ერთი ლაპარაკობს და ირგვლივ

ყველა მას უსმენს. ეს ადამიანები რაღაცით ჰგვანან სანაპირო დაცვის მუშაკებს, ისინი მაშველ რგოლს უგდებენ პრეზიდენტს და „წყლიდან ამოჰყავთ“, როცა მას პასუხის გაცემა უძნელდება („ტალღას ვერ უშვალავდება“). მათ შეუძლიათ „შპარგალკის“ მინოდება, თემასთან დაბრუნება (თუ პრეზიდენტი უნებლიეთ ლაპარაკში გაერთობა). ისინი პრეზიდენტს აფრთხილებენ და მიანიშნებენ, როცა მეორე პრეზიდენტი რაღაც ხაფანგს უვებს. სრულიად ნორმალურია, თუ პრეზიდენტი იტყვის, რომ მოსაუბრის მიერ რომელიმე საკითხის წამოწვევა მისთვის მოულოდნელია და „წუთისწევრებას გამოაცხადებს“ გვერდით მყოფებთან მოსათათმირებლად.

საუბარს ისმენენ და აკვირდებიან „უჩინარი ყურები“ – ორი ადამიანი გვერდით არსებულ ოთახებში, რომლებიც სტენოგრაფიას ამზადებენ. საუბრის გაშიფვრა, ზუსტი და დეტალური ტექსტების გაკეთება აუცილებელია ისტორიისათვის. პრეზიდენტების საუბრების (აუდიო-ვიდეოჩანაწერა) არ ხდება.

რა თქმა უნდა, ოვალური კაბინეტი მსხლომეტი საუბარს თავიანთთვის ინერნე მობილურ ტელეფონზე, მისი შემდგომი ანალიზისათვის, მაგრამ ხაზს ვუსვამთ: ოფიციალურად საუბრის არსებობა აუდიოჩანაწერი არ არსებობს.

ორი ადამიანი, რომელიც თეთრი სახლის ნებისმიერ გვერდით ოთახში იმყოფება, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ინერნე იმას, რასაც ისმენენ და თან რაც შეიძლება სწრაფად. არის კიდევ მესამე პირი, რომელსაც საკმაოდ უცნაური ფუნქცია აქვს: მიკროფონში იმყოფება ყველაფერს, რას მას ესმის – იდეალურად და სიტყვასიტყვით. მისი ხმა გადაეცემა კომპიუტერს, რომელიც ავტომატურად გეგდავს ტექსტს, მაგრამ ხმის ასლი (აუდიოკოდეკი) არ ინახება. საბოლოოდ, სამი ვერსიიდან ღვება ერთი მთავარი ტექსტი.

ეს სამი ადამიანი, რომლებიც საუბარს სხვადასხვა წესით ინერნე, იქ იმპროვიზაციით, რომ რაიმე ეჭვი არ გაჩნდეს ციფრებისა და ფორმულირებების მიმართ. რაიმე შეცდომებისა და რაღაც ინტერპრეტაციების გამოჩენის შემთხვევაში. მაგალითად, „ანკეტის“ ნაცვლად „რაკეტა“ არ გაიგოს, ან ენამოსწრებული სიტყვა „იადრენა“ „იადერნად“ („მირთველად“) არ იქნას აღქმული.

და კიდევ ერთი: ორი პრეზიდენტი არასოდეს არ საუბრობს ყველაასათვის ცნობილი „წითელი ხაზით“ (იგივე „ცხელი ხაზით“). ეს შეუძლებელია. „წითელი ხაზი“ როგორც ტელეფონით სასაუბრო საშუალება, არასოდეს არ არსებობდა. თავდაპირველად ეს იყო ტელეტიპი, შემდეგ ტელეფაქსი, ახლა კომპიუტერი ელექტრონული ფოსტისათვის. დღეს ორი პრეზიდენტი ერთმანეთთან საუბარი ჩვეულებრივი ტელეფონით შეუძლიათ, ოღონდ მკაცრი უსაფრთხოებით და კომსოუსური თანამგზავრით უზრუნველყოფილი სახით.

მოამზადა
სიმონ
კილაძე



„უკრაინელი ხალხი ომის გაგრძელებას მხარს არ უჭერს!“

– ზელენსკისთვის ეს ნიშნავს, რომ მისი კარიერა და შეიძლება სხვა რამეც დასრულდება და ამიტომ ის ცდილობს ისეთ კონდიციამდე მიიყვანოს ვითარება, რომ აშშ კვლავ ჩაითრიოს ამ ომის ესკალაციაში, რასაც ვერ მიაღწევენ, რადგან ეს არის თავიდან ბოლომდე გლობალისტების გეგმა. პირდაპირ რომ ვთქვათ, დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის კონფლიქტთან გვაქვს საქმე. ამიტომაც უტყვის ტრამპი კანადას, როგორც ბრიტანული თანამშრომლობის სერიოზულ ნაწილს. კონფლიქტი სახეგია და ეს კონფლიქტი მხოლოდ გამწვავდება, რადგან ბრძოლა მიდის მომავლისთვის, ვინ იქნება მომავალში მმართველი ძალა.



ამერიკაშიც და ევროპაშიც მეინსტრიმულ მედიას ტოტალურად აკონტროლებენ გლობალისტები, მაგრამ ტრამპის მედიამ, ანუ სოციალურმა ქსელებმა, მოიგო საარჩევნო ბატალია. ეს ნიშნავს, რომ ხალხი სოციალურ მედიაზე გადმოდის და ამ გზით უნდა ამ მეინსტრიმული მედიის ნიველირება ტრამპს, რაც საარჩევნო რეჟიმში მოახერხა. ტოტალური ომი მიდის გლობალისტებსა და კონსერვატორებს შორის.

ირაკლი გობაძე

ტრამპი: ჩვენ რუსეთთან საქმა უნდა ღავიჭიროთ, მათ გუნებრივი რასურსებით მდიდარი მიწა აქვთ!

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთს ძალიან ძვირფასი მიწა აქვს და ამერიკამ მასთან საქმე უნდა დაიჭიროს.

„ჩვენ რუსეთთან საქმე უნდა დავიჭიროთ. მათ მსოფლიოში ყველაზე დიდი ტერიტორია აქვთ, ჩინეთზე უფრო დიდი. რუსებს 11 სასაათო სარტყელი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მიწა აქვთ. ახლა უკრაინასთან იმეათი ლითონების შესახებ შეთანხმებას ვაფორმებთ და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ფულს უკან ვიბრუნებთ“, – განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ამასთან, მისივე თქმით, აშშ-ის მიერ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ, შესაძლოა, რუსეთის ჩინეთთან დაპირება გამოიწვიოს!..



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთს ძალიან ძვირფასი მიწა აქვს და ამერიკამ მასთან საქმე უნდა დაიჭიროს.

შპრაბინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ადასტურებს, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა მას ამერიკისთვის ზაპოროჟიის ელექტროსადგურის გადაცემა შესთავაზა, – ამის შესახებ სახელმწიფოს ლიდერმა ტრამპთან საუბრის შემდეგ განაცხადა.

„ყველაზე რთული ტერიტორიების საკითხი იქნება. ეს გამოწვევა იქნება ჩვენთვის და ჩვენ მაქსიმალურად დავიცავთ უკრაინას ამ საკითხებში, თუმცა ეს ძალიან გაგვიჭირდება. პრეზიდენტ ტრამპს ესმის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებს რუსეთის ტერიტორიებად იურიდიულად არ ვაღიარებთ. არის ტერიტორიები, ქალაქები, რომლებიც უნდა იმ საკონტაქტო ხაზით არიან გაყოფილი. თუ ზოგ ადვილად ამ ხაზს დატოვებთ, თქვენ უბრალოდ დატოვებთ ქალაქებს სიცოცხლის გარეშე. ნახევარ ქალაქში არავინ დაბრუნდება და თუ ეს დიდ ქალაქებს დამართება, მაშინ ეს იქნება ზერლინი“, – აღნიშნა ზელენსკიმ.

ისრაელის თავდასხმებს ღაზაზე 70-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

გზში ისრაელის მიერ განხორციელებული თავდასხმების დროს, ღაზის ჩრდილოეთ და სამხრეთ ტერიტორიებზე, სულ მცირე, 70 ადამიანი დაიღუპა – მათ შორის ქალები და ბავშვები.



მას შემდეგ, რაც ისრაელმა სამშაბათს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაარღვია, ღაზას ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაღუპულთა რიცხვი დაახლოებით 436 პალესტინელის, მათ შორის 183 ბავშვის დაღუპვის შესახებ იწყება.

საკუთარი გვეგების შესახებ ისრაელის მაღალი რანგის სამხედროებმა ისაუბრეს. „კაჰალი“ განმარტავს, რომ ოპერაციის მიზანი ბუფერული ზონის გაფართოებაა.

ამასთან, ღაზაში მყოფი ისრაელელი ტყვეების ოჯახებმა განაცხადეს, რომ ისინი „გაბრაზებულნი“ არიან ნეთანიაჰს მთავრობის გადაწყვეტილებით, გადაედო უსაფრთხოების კაბინეტის სხდომა, რომელიც გუშინ იყო დაგეგმილი, რადგან ისინი მოელოდნენ მათი ნათესავების მედის გადაწყვეტას.



უნიკალური საარქივო მასალების გადასცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივისთვის

იტალიაში დაუნჯებული ეპისტოლარული მემკვიდრეობა საქართველოში დაბრუნდა

18 მარტს საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში
მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა.

იტალიაში საქართველოს ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის გეგლარ თავართილაძის თაოსნობით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს გადაეცა 1918-1921 წლების უნიკალური საარქივო მასალები – საქართველო-იტალიის დიპლომატიური მიმოწერა.

ლონისძიებმა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **რომან მამულაშვილმა** შესავალი სიტყვით გახსნა და აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივთან მეცნიერებათა აკადემიას დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს, თავად აკადემიასაც მოულოდნელით არქივი აქვს, სადაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი საარქივო მასალები ინახება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აკადემია ფერად წოდებული მედიატორის როლშია.

ლონისძიებმა სიტყვით თავად ბატონი **გეგლარ თავართილაძე** და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის დირექტორი ქალბატონი **თეონა მარგალიტი** გამოვიდნენ. ბატონმა გეგლარმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ამ საშურ და საპატიო საქმეში მას გვერდით ედგნენ აკადემიკოსი ვალერი ასათიანი

და ჟურნალისტი, პუბლიცისტი პაატა ნაცვლიშვილი. სწორედ პაატა ნაცვლიშვილის დიდი დამსახურებაა ხსენებული არქივის საქართველოში ჩამოტანა, აღსანიშნავია, რომ არქივი საკმაოდ მოკლებულია და 400 გვერდზე მეტ დოკუმენტს მოიცავს ხუთ ენაზე – ქართულ, რუსულ, იტალიურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა ბრძანა, ეს ფრად საინტერესო ფონდი ყველა დაინტერესებული პირისთვის და მკვლევრისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

როგორც ჩვენთან საუბარში იტალიაში ამჟამად ქართული სათვისტომო „კოლხეთის“ ხელმძღვანელმა ბატონმა გეგლარმა აღნიშნა, მან ჯერ კიდევ 1995 წელს დაიწყო ხსენებული დოკუმენტაციის შესწავლა, რომელიც ქართული დემოკრატიული მთავრობის ურთიერთობას ასახავს მაშინდელ იტალიის სამეფოსთან. დოკუმენტები ეხება იტალიაში არსებულ საიდუმლო მასალებს. ყველა დოკუმენტზე ხაზგასმით არის ნაჩვენები, რომ საქართველო იტალიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა და ისინი დიდ მხარდაჭერას უცხადებდნენ საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას.



რას უცხადებდნენ საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას.
„უნიშვნელოვანესი დღეა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისთვის, დღეს მოხდა დიდი მოვლენა, იტალიაში დაუნჯებული ქართული საარქივო მასალა, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის და XX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით, ძალიან საინტერესო ეპისტოლარული მემკვიდრეობა გა-

დაცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივს, რომელიც არის ძალიან დიდი ისტორიის მქონე დანერგულება. ეს არის უდიდესი მნიშვნელობის საქმე და ისტორიკოსებმა მოიპოვეს ძალიან მნიშვნელოვანი მასალა საზოგადოებაში და კიდევ, ხაზგასმით უნდა გითხრათ, რომ ჩვენ არ ვვარგავთ არც ერთ მარცვალს ჩვენი ისტორიისა. დიდი მადლიერების გრძნობით მივსალმობთ ბატონი გეგლარ თავართილაძე და ქალბატონი თეონა მარგალიტი. წარმატებებს ვუსურვებ მათ თავიანთ საქმიანობაში“ – აღნიშნა ჩვენთან საუბარში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **რომან მამულაშვილმა**.

ლონისძიებმა ესწრებოდნენ აკადემიის პრეზიდენტის წევრები, მონაწილე სტუმრები, მკვლევრები და მეცნიერები.

**საქართველოს
მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის
საზოგადოებასთან
ურთიერთობის
დეპარტამენტი**



თამაზ კობახიძე – 90

სამოციანელებს უნდოდათ მწერლებს, პოეტებს, ცხოვრების სარწმუნოებზე გაბრუნებული ქალაქის კოლორიტებს, ეროვნულ მოღვაწეთა დასს... თუმცა, სავსებით გამართლებულია, ამ ისტორიული ტერმინით მოვიხსენიოთ ადამიანები, რომლებმაც განუზომელი წვლილი შეიტანეს 60-იანი წლების თბილისის აღმშენებლობაში – ქართველი მშენებლები, დაუღალავი, თავდადებული, საინჟინრო ხელოვნების მრწავილად მყოფნი ოსტატები, შესანიშნავი ნაგებობები რომ დაუტოვეს შთამომავლობას...

ცნობილი ფაქტია – როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს პროექტი, გადაწყვეტ როდეს მშენებელი ასრულებს. პრაქტიკაში მიღებულია, რომ მშენებლობის მიმდინარეობისას, სამუშაოთა მხარმოვლობის მიერ მინოდებული წინადადებით, რაც გამართლებულია, დააჩქარებს და გააუმჯობესებს ამა თუ იმ პროექტს, ოპტიმალური გადაწყვეტილება არჩევენ.

მშენებლად დაბადებული...

მას თანამედროვე არსაკიძე მოიხსენიებენ...

ტორისა და ინჟინრის ურთიერთშეთანხმებით მიიღება. არქიტექტორიც კმაყოფილია და მშენებელიც, რაც საქმეზე დადებითად აისახება...

მასზე მუდამ კარგს ლაპარაკობენ – როგორც სპეციალისტები, პირველად, მრავალი დადებითი თვისებით შემკული, ღირსეული ადამიანები. **თამაზ მარგალიტი** – თანამედროვე არსაკიძე – მშენებელი, რომელმაც კარიერული კიბის ყველა საფეხური ღირსეულად აიარა – ოსტატობიდან სამშენებლო ტრესტის მმართველამდე. იყო უფროსი სამუშაოთა მხარმოვებელი თბილისის სპორტის სასახლის, სახელმწიფო ტელევიზიის მშენებლობებზე.

შემთხვევითი არ იყო, რომ 1963 წელს, სრულიად ახალგაზრდა ინჟინერს ანდეს უაღრესად საპასუხისმგებლო, პირველი მაღლივი შენობის – თბილისის სასტუმრო „ივერიის“ მშენებლობა, რომელიც 1967 წელს დასრულდა.

მას ამჟამად, „მთავართბილმშენის“ მე-7 სამშენებლო სამმართველო, უფროსი, ცნობილი მშენებელი, ინჟინერთა წრეში გამორჩეული კოლორიტული პიროვნება **მთაბაზრაშვილი**, რომელიც ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს. ამ ობიექტებზე, სადაც დიდი დანაშაულებად არ წყდებოდა

თვითმცლელი ავტომანქანების მოძრაობა, მუშაობდა მექანიზაცია, მუშა-ხელოსნები ჭიანჭველებით იყვნენ შესრული საბრუნავები... თამაზმა შემოიკრიბა რჩეული სამუშაოთა მხარმოვლები – **მიხაილ მამულაშვილი, როსტომ ხინგაბაშვილი, თამაზ პაჭკაშვილი, ზურაბ ვაფსხაძე, მურაზ ქარაძე**... გამოცდილი ბრიგადა, საქმის ერთგული და მოყვარული ადამიანები – **სერგო ხომასტრიძე, სოსო მანაშაძე, სიმონ მირზანი, ანატოლი რუხაილოვი, გიორგი ნადიაშვილი** და სხვები (ამ დიდებულ ადამიანებზე, რომელთაგანაც, ცხადია, ყველა ვერ ჩამოვთვალე, მზადდება ვრცელი ნაშრომი, რომელიც სრულყოფილად იქნება ასახული, როგორც შენდებოდა თბილისი)...
ბიკა ჩაჩანიძე




მერაბ კოკოჩაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფანა

ხელოვნების სასახლის ინფორმაციით, 60-იანი წლების ქართული კინოს ერთ-ერთი ლიდერს, ეროვნული კინოკლასიკის შედევრად აღიარებული ფილმის „დიდი მწვანე ველის“ (1964) ავტორს, მერაბ კოკოჩაშვილს, 90 წელი შეუსრულდება.



„ხელოვნების სასახლეში, გამოფანაზე, იხილავთ რეჟისორის შემოქმედების ამსახველ ფოტომათალებს, აფიშებს კინოფილმებიდან, ესკიზებს, საოჯახო ფოტოსურათებსა და ხელნაწერებს. გამოფანაზე წარმოდგენილი ფოტომათალები და ხელნაწერები ასახავს რეჟისორის შემოქმედების მრავალფეროვნებას – მისი ვირტუოზულ კინოსარეჟისორო უნარებსა და განვლილ კარიერულ გზას.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის თაოსნობით 30 წლის წინათ საფუძვლიან ჩაეყარა საქართველოს საგვარეულო დარბაზის შექმნის იდეას, რასაც დიდი ენთუზიაზმით შეუერთდა ლომიძეების მრავალრიცხოვანი გვარი. არ მეგულება აღაშინი, რომელიც თავისი გვარით არ ამწყობდეს, სიყვარულით და პატივისცემით არ წარმოთქვამდეს წინაპართა დიდი რუღუნებით დღემდე მოტანილ გვარს. სწორედ მათ დაგვანათლეს გვარისადმი და გვარისშეუღებლობისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება. სიამაყის გრძნობა გიათჟვადებმა, როცა ხედავდნენ შენს გარშემო მრავალ სახელოვან, კეთილსინდისიერ, ღვაწლმოსილ და დაფასებულ გვარსაგვარს.

დღეს საქართველოში 13500-მდე ლომიძე ცხოვრობს და ქართულ გვარებში მეშვიდეა. ლომიძეები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში და 200-მდე სოფელსა და დაბაში ცხოვრობენ. ჯერ კიდევ 2014 წელს შევადგინეთ ლომიძეების განსახლების რუკა, სადაც კონკრეტულად მითითებული საქართველოს ყველა კუთხეში როგორია მათი რიცხოვნობა. (ახლო მომავალში გაპირებთ საქართველო რუკის განახლებას).

ამ მართლაც და მოსაწონ ტრადიციას ჯერ კიდევ 1999 წელს მხარი დაუჭირეს ლომიძეებმა და მას შემდეგ ყოველი წლის შემოდგომაზე იკრიბებიან. სახლიკაცების შეხვედრები ყოველთვის შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელია, ახალგაზრდობისთვის მისაბამია ისიც, რომ ამ შეხვედრებში გვარში გამორჩეულ, სამშობლოს წინაშე დამსახურებულ და ვალმოხდელ სახლიკაცებს ირჩევენ გვარის საპატიო წევრებად. თითოეული შეხვედრა გამსჭვალულია გვარის ტრადიციების გაფრთხილების და სახლიკაცების პატივისცემის მოპყრობის ნიშნით. საერთო ჯამში ეს შეხვედრები სამშობლოს სიყვარულის და ერთგულების თვალნათელი გამოხატულებებია.

ლომიძეების გვარის წარმომადგენელთა სიამაყესა და დიდ სიხარულს იწვევს ის ფაქტი, რომ 2010 წლის 10 იანვარს სამების საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დალოცა ლომიძეების გვარი და აკურთხა საგვარეულო ხატი, რომელიც 2010 წლის 6 მაისს საზეიმოდ ხარაგაულის რაიონის სოფელ ხუნევის ეკლესიაში დაეკურთხა, ანუ იმ სოფელში, საიდანაც არიან ლომიძეების უმრავლესობა.

2006 წელს, დაფუძნდა და რეგისტრაციაში გატარდა „ლომიძეების საგვარეულო დარბაზი“, რომელსაც ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი ღონისძიებების პროგრამა აქვს შემუშავებული. მათი განხორციელება ხელს შეუწყობს გვარის კიდევ უფრო შეკავშირებასა და განმტკიცებას.

მუნიციპალიტეტების კიბეზე, საიდან მოდის ლომიძეების გვარის ისტორია, რა გზა გამოიარა გვარმა და როგორ მოვიდა ჩვენამდე, ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად მრავალმხრივი ისტორიული დოკუმენტების შესწავლა მომხიდა, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ შევისწავლე გვარის ისტორია.

ქართული გვარები მყარია. ბევრ გვარს გრძელი, ისტორიული გზა აქვს გამოვლილი. ერთ-ერთი ასეთია ლომიძეების გვარი (ძველი სახით ლომის-ძე), რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ საუკუნეების წინათ ცხოველთა სახელები

გვამამაყება ლომი(ს)ძეთა გვარიშვილობა

ადამიანთა საკუთარ სახელადაც გამოიყენებოდა, განსაკუთრებით მთის მოსახლეობაში ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი მამაკაცის სახელი „ლომა“, რაც ძველი წერილობითი წყაროებითაც დასტურდება, სიტყვა „ლომა“ საერთოდ ონომასტიკაში (საკუთარ სახელთა ფონდში) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მოსკოვში არსებული „გვარების ისტორიის შემსწავლელი კვლევითი ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში ხაზგასმითაა მითითებული: „ლომიძეების გვარის წარმომადგენლებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი წინაპრებით, რომელთა მონაცემები შემონახულია სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტებში, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ლომიძეები სერიოზულ კვალს ტოვებდნენ საქართველოს ისტორიაში.“

ლომიძეების გვარი წარმოიშვა საქართველოს სამხრეთ ნაწილში და შედის საქართველოს უძველეს გვართა სიაში. ამ გვარის წარმომადგენლის პრეტენზია იწყება XIII საუკუნეში.

ლომიძის გვარი მიეკუთვნება ძველი ქართული გვარების ტიპს, რომელიც წარმომადგენლობა გვარის ფუძემდებლის სახელიდან“.

XV-XVI საუკუნეში საქართველოს, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოს თავს დაატყდა ოსმალეთის ურდოების შემოსევა, რომელმაც მიიტაცა

ერთ დროს ქართველთა მჭიდროდ დასახლებული მხარე. მუსლიმანური სარწმუნოების შემოტევამ, ურჯულთა წესჩვეულებების იძულებით აღიარებამ, მძიმე საგანსახადო სისტემამ, დამპყრობელთა მიერ ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ უსასტიკესმა ღვინამ, მკვიდრი მოსახლეობის აყრასა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადასახლებას დაუდო საფუძველი. სხვებთან ერთად ლომიძეებიც ექმდნენ მშვიდობიან რეგიონებს, ასე მოხდნენ მესხეთიდან გადმოხვეწილი ლომიძეები გურიაში და იმერეთში. განსაკუთრებით ქუთაისის ახლომდებარე სოფლებში, იმერეთიდან ქართლშიც გადმოვიდნენ და გამრავლდნენ. ლომიძეები ძირითადად მართლმადიდებლური ეკლესიის და სამშობლოს ერთგულ გვარად ითვლებოდნენ. იყვნენ ტახტის აზნაურებიც და გლეხებიც. ისტორიამ შემოინახა ლომიძეების მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი, რომლებიც სასულიერო პირები იყვნენ და დღესაც არიან.

1851 წლის 18 ივლისს ლეკებმა დავით გარეჯის ლავრა დაარბიეს და მონაშთობრივად აღსრულებულ შვიდ სასულიერო პირთაგან სამი საყუდელი ლომიძე გახლდათ. მღვდელ მონაზონ სერაპიონს (ლომიძე), მონაზონ ბესარიონს (ლომიძე) და მათ მისწულს, მონაფე სვიმონს თავები მოჰკვეთეს. ისინი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანთა დასმია არიან შესულნი. მათი ხსენების დღეა 12 აგვისტო (ახალი სტილით 25 აგვისტო). დაწერილია ამ წმინდანთა ხატი და ტროპარი, რომლებმაც თავიანთი მონაშთობრივი სისხლით კიდევ

უფრო უკვდავცვს ლომიძეთა გვარი.

ლომიძეების საგვარეულო დარბაზის ძირითადი პრინციპებია ძმობა, ერთობა, თანასწორობა, სამართლიანობა, გვარის თითოეულმა წევრმა უნდა იცოდეს და გაანალიზოს საიდან მოდის გვარის ისტორია. რა გზა გაიარა დღემდე და რა არის გასაკეთებელი გვარის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი ერი საკუთარ ისტორიულ სამშობლოში – საქართველოში ჩამოყალიბდა. ახლა, როცა ცნობილი მოვლენების გამო დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და თითქმის განახევრებულია მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, როგორც არასდროს დღეს თითოეული გვარის წარმომადგენლის უპირველესი ამოცანაა, იზრუნოს ერის გათლიანებისთვის, დემოგრაფიული პრობლემების დაძლევისთვის და სამშობლოს აღორძინებისათვის.

* * *

თქვენმა მონა-მორჩილმა და ლომიძეების

გვარის ერთგულმა პიროვნებამ, რაც შეძელი და რაც მოგიკვლიე მალე (ალბათ ამა წლის შემოდგომაზე), მცირე ზომის წიგნად ავეცნავე და შთამომავლობას სახსოვრად დავუტრეფე. მზ წლის ვარ, დანარჩენი თქვენი, ახალგაზრდების



გასაკეთებელია და მწამს, თქვენ მეტს შეძლებთ.

ერთ საგაზეთო წერილში გვარის ისტორია ვერ ჩაეტევა. ზოგადად კი გეტყვით, რომ გვარის ისტორიის მასალების მოძიება ერთობ რთული და საძნელო საქმეა. ჩემი წიგნისთვის ქვესათაურებიც შერჩეული მაქვს და დიდი სიამოვნებით გაგაცნობთ.

გამოსაცემად მომზადებულ წიგნში იქნება შედეგი ქვეთავები.

გვამაყებოდეს გვარიშვილობა; ვისი გორის ხარ! საგვარეულოს დარ-

ბაზის მიზნები და ამოცანები; ლომი ქართულ გვარსახელებში; რას მოგვითხრობს გვარის ისტორიული დოკუმენტები?; საიდან მოვიდნენ ლომიძეები ლიხთ იმერეთში; თქმულებები და ლეგენდები გვარის შესახებ; უფლისა და დედამეუღლის წინაშე ვალმოხდილი; გვარის სახელოვანი შვილები; მათა ლომიძის ტურნირის აღორძინებისთვის; გვარის ვერძი, დროშა და ჰიმნი; ლეგენდები მიძღვნილი ლომიძეების გვარისადმი; მომავალში განსახორციელებელი საკითხები; ლომიძეებით კომპაქტურად დასახლებული ადგილები და სხვა.

ყველა ლომიძე მეტ-ნაკლებად იცის თავისი გვარის ისტორია. ლეგენდები, თქმულებები, ფოლკლორი, ეთნოგრაფია და ა. შ. იცინ თუ რა გმირული გზა გამოიარა მისმა წინაპარმა. ეს კი სიამაყით გვაგვსებს. დღეს და სამომავლოდ ლომიძეების უპირველესი ამოცანაა არ დაივიწყონ წარსული, არ დააკნინონ, არ შეარცხვინონ სახელოვანი წინაპართა მიერ დღემდე დიდი შრომით, ბრძოლით, ჭირთათმენით, მხნედ ჩვენამდე მოტანილი გვარი...

ისტორიულ წყაროებში მკაფიოდ აღწერილი, თუ როგორი რთული და სახიფათო გზა-ბილიკებით იარეს ჩვენმა წინაპრებმა ცხოვრების ლაბირინთებში.

ჩემი აზრით, ლომიძეებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. გვარში არაერთი სახელოვანი ადამიანი გვყავს, თუნდაც სახელოვანი მოჭიდავის შოთა ლომიძის გახსენება რად ღირს. ოთხჯერ ჩავატარე მეჭიდავეთა ფალავნის შოთას სახელობის რესპუბლიკური ტურნირი, თითოეულ შეკრებაზე. რესპუბლიკის 20 მუნიციპალიტეტის 200 მოჭიდავე ღებულობდა მონაწილეობას. 2024 წელს თანხა ვერ მოვიძიე და ტურნირი ვერ ჩატარდა. ამ ტურნირის აღდგენა და მისი ყოველწლიურად ჩატარება ლომიძეების პრესტიჟის საქმეა. იქნებ წელს ისევ ავალორძინოთ დაწყებული ტრადიცია.

ლომიძეთა გვარის საამაყო უნდა ითქვას ის თქმულებაც, რომ დიდგორის ისტორიულ ომში მეფეთ მეფის დავით აღმაშენებლის ერთგულ მებრძოლთა შორის მდგარან ლომიძეები და გმირულად უბრძოლიათ.

იმერეთის სახელოვან მეფეს სოლომონ პირველს ოსმალთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მარჯვენა ფრთაზე ყოველთვის ერთგულ მეომრებად ჰყავდა პაპუნა ლომიძის მებრძოლები.

ლომიძეები იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და მეორე მსოფლიო ომში.

ერთ-ერთი თქმულების თანახმად საქართველოს ურიცხვი მტერი შემოსევდა. მტრის წინააღმდეგ სამბრძოლველად ერთი ოჯახიდან ცხრა ძმა, ერთი-მეორეზე მამაცი ვაჟუცხები წასულან. ომი ქართველთა გამარჯვებით დამთავრებულია. ნაბრძოლი ლაშქარი სიმღერით უკან მობრუნებულია. სოფლის ორ-ლომში გამარჯვებულ მხედრებს ცხრა ძმის დედა შეგვებია... და შვილების დაღუპვის ამბავი მოლაშქრეებისაგან შეუტყვია.

– დედი, შენი შვილები ლომებოვით იბრძოდნენ და გმირულად დაიხოცნენო! – უთქვამთ.


დამწხრებელი და დადარდინებული დედა ბრძოლის ველზე წასულა შვილებს ცხედრების სანახავად, დედას შვილები უნახავს. ყველანი გამოუგლოვია, სადაც ცრემლი დაცემულა იქ წყარო ამოსულა... ამბობენ იმ მთას დღესაც ცხრაწყაროს ეძახიანო.

ცხრა ძმის ნაშთებს ხალხმა ლომის ძეები შეარქვეს და ლომიძეების გვარიც იქიდან მოდისო.

საამაყოა, რომ ლომიძეები ყოველდღიურ ცხოვრებაში ნამდვილად გამოირჩევიან დადებითი თვისებებით, სამშობლოს, ოჯახის, შვილების დიდი სიყვარულით, დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებით, პატიოსნებით, სტუმართმასპინძლობით და სხვა კეთილი თვისებებით. თითოეულ ლომიძეს გულის ფიცარზე უნდა ეწეროს სწავლულ კაცთა შეგონება. გვარი კი არ უნდა გვალამაზებდეს, არამედ გვარს უნდა ვალამაზებდეთ.

დაბოლოს, დიდი სურვილი მაქვს, ქართველებმა ვისწავლოთ ერთსულოვნების ფასი. დაქსაქსულობა, რადიკალური ოპოზიციური გამოხედვები სერიოზულად აზიანებს მცირერიცხოვან ერს და ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვისაც საქართველოს გადარჩენა უნდა.

**ვალერიან
ლომიძე,
ლომიძეების
გვარის მეთაური,
საქართველოს**





ინტენსიურად მოგვარდება აპარიული სახლების ჩანაცვლების პრობლემა...

19 მარტს გაიმართა დედაქალაქის
მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა

მაჰმად რაიონში, სადაც ახალი საავტომობილო ხიდი გაიხსნა, რომელიც ბაგეზსა და უნივერსიტეტის ქუჩას ერთმანეთთან აკავშირებს, ყოველდღე ხდება კურიერების შეკრება. მათ საკმაოდ რთული სამუშაო აქვთ, მთელი დღის განმავლობაში ქალაქში მოძრაობენ. ეს არის ადგილი, სადაც ისინი იკრიბებიან, იღებენ შეკვეთებს და ემსახურებიან დედაქალაქის მოსახლეობას. მინდა, დავაგალო ჩემს მოადგილეს ირაკლი ზენდელიანს, იქვე არსებულ მუნიციპალურ ტერიტორიაზე მოვანყლო გადახურული და კეთილმოწყობილი სივრცე, სადაც ამ ახალგაზრდებს ნორმალური პირობები ექნებათ. შესაძლოა, დაიდგას მოსასვენებელი სკამები, რათა კურიერები ქუჩაში არ იდგნენ. საკმაოდ რთული სამუშაო აქვთ და ეს ჩვენი მხრიდან მცირე ხელშეწყობა იქნება.

„სახსრების ენდოპროთეზირების“ პროგრამის დაწყებიდან, 2023 წლის სექტემბრიდან დღემდე, 812 შემთხვევა დავაფინანსეთ. პროგ-

რამით სარგებლობა შეუძლიათ ბოლო ორი წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, პროგრამაში ჩართვის დროისთვის, თბილისის რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთაც აღნიშნული მომსახურება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არ უფინანსდებოდა. პროგრამით მოსარგებლეს სამედიცინო დაწესებულებისა და პროთეზის სახეობებს შორის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა აქვს. ერთ მოქალაქეს 6 000 ლარი უფინანსდება. მოქალაქემ ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მომსახურების მისაღებად შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას უნდა მიმართოს, რომელიც საჭირო საბუთებს სპეციალურ ელექტრონულ მოდულში ატვირთავს. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე კერძო დაზღვევით სარგებლობს, მაშინ სამედიცინო დაწესებულების მიერ, მოთხოვნის მოდულში ატვირთვის შემდეგ, მან ან მისმა წარმომადგენელმა მერიაში უნდა შემოიტანოს ცნობა კერძო სადაზღვევო კომპანიიდან.

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ინფრასტ-

რუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან ერთად, უახლოეს მომავალში, ნოე ჟორდანიას სახელობის სანაპიროსა და კოსტა ხეთაგუროვის ქუჩის კვეთის მიმდებარე სატრანსპორტო კვანძის ოპტიმიზაციას გეგმავს, რაც ტერიტორიაზე ნაკადების უსაფრთხო და ეფექტურ გადაადგილებას ისახავს მიზნად. პროექტის ფარგლებში, გზაჯვარედინზე დროის ოპტიმალური მართვის უზრუნველსაყოფად, დამატება საავტომობილო ზოლები, სანაპიროდან ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით კი მარცხნივ მოხვევა, შექნის და რეგულირდება. გარდა ამისა, მტკვრის მარცხენა სანაპიროდან ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით შეიქმნება საქვეითო კავშირი, რაც ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას უფრო კომფორტულსა და ორგანიზებულს გახდის. ტერიტორიაზე, ასევე, განთავსდება უსაფრთხოების კუნძულები. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს მოძრაობის გამარტივებას, უსაფრთხოების ამაღლებას, სატრანსპორტო და ქვეითების ნაკადების ეფექტურ მართვას, რაც საბოლოო ჯამში, სხვა მნიშვნელოვან პროექტებთან ერთად, ქალაქში არსებული საცხოვრების განვითარებას შეუწყობს ხელს.



აპარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია სამ მისამართზე. კერძოდ, სამგორის რაიონში, კალთების ქუჩა N18-ში, სადაც არსებული სამსართულიანი ავარიული შენობის ნაცვლად, 10-სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდება. ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსში გარემონტებული ბინა 29 ოჯახს გადაეცემა; მეორე პროექტი სამხრეთაღლოს რაიონში, გამრეკელის ქუჩის I შესახვევის N6-ში მდებარე ოთხსართულიანი ავარიული შენობა, რომლის ნაცვლად, რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდება. ახალაშენებულ კორპუსში გარემონტებული ბინა 19 ოჯახს გადაეცემა; სადგომო-ტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს ვარკეთილის დასახლების მე-3 მასივში. დემონტაჟი ჩატარდება მეოთხე კვარტალში მდებარე N6 კორპუსსა და ოთხსართულიანი შენობის ადგილზე, 10-სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდება.

ახალ აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში გარემონტებული ბინა 36 ოჯახს გადაეცემა.

თბილისის მერიის მიერ დაფინანსებული (ა)იპ „ჩემი ადვოკატი“ სრულიად უსასყიდლოდ ეხმარება მოქალაქეებს სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენაში, ასევე, ახორციელებს წარმომადგენლობას, როგორც სასამართლო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. „ჩემი ადვოკატი“ ყოველწლიურად 20 000-ზე მეტ მოქალაქეს ეხმარება იურიდიული საკითხების გადაჭრაში. გასულ წელს მათ 700-მდე საქმე მოიგეს. ამ სერვისის მიღება შეუძლიათ თბილისის ათივე რაიონში, გამგეობების სერვისცენტრებში. მოქალაქეთა მომსახურების გარდა, „ჩემი ადვოკატი“ ეხმარება სტუდენტებს, გაიართონ სამართლებრივი პრაქტიკა. ორგანიზაცია თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან, რომელთა სტუდენტები აქ პრაქტიკულ, საადვოკატო საქმიანობას ეწევიან და ტრენინგ-ადვოკატების დახმარებით, თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ

კერძო სკოლებისადმი ინტერესი მზარდია, თუმცა იქ სწავლის დონე არ უმჯობესდება



კერძო სკოლებში სწავლის დონე გადის სახელმწიფო სწავლების დონის ზემოთ. ამ მხრივ საჭიროა კერძო სკოლებში ერთმანეთსა და სახელმწიფო სკოლებსა და მოსწავლეებს ერთმანეთს გაუმჯობესოთ ურთიერთობა. ამჟამად ამის, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მოთხოვნა გაიზარდა და გოგონები 2 წლიდან მოსწავლეთა რაოდენობა 10%-ით მოიმატა.

კერძო სკოლებისადმი ინტერესი ყოველწლიურად მატულობს. „საქსტატის“ მონაცემებით, 2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით კერძო სკოლებში 70 300 მოსწავლე სწავლობს. გასულ სასწავლო წელს მათი რაოდენობა 66 500 იყო, 2022/2023 სასწავლო წელს კი – 63 700.

პარალელურად, მცირედით იკლებს კერძო სკოლების რაოდენობა. ამჟამად 208 კერძო სკოლა ფუნქციონირებს ქვეყანაში, მაშინ როცა გასულ წელს 210, ხოლო 2022/2023 სასწავლო წელს 216 იყო. ყველაზე მეტი კერძო სკოლა თბილისში მდებარეობს და მათი რაოდენობა 108-ს შეადგენს. შემდეგ მოდის აჭარა – 25, იმერე-

თი – 22, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 18. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა საჯარო სკოლებშიც. 2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ქვეყნის მასშტაბით მოქმედ 2086 საჯარო სკოლაში 570 400 მოსწავლე სწავლობდა, წინა სასწავლო წელს კი – 567 800.

კერძო სკოლების ასოციაციის გამგეობის წევრის აშოტ აბდუშაიშვილის ინფორმაციით, კერძო სკოლების ბაზარზე ფილიალური სისტემა ყალიბდება. მომხმარებლების რაოდენობის ზრდის ფონზე, ინდუსტრიული მსხვილი საინვესტიციო ფონდები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან, რაც რიგი სკოლების გამსხვილებას, ხოლო მცირეების დასუსტებას განაპირობებს.

„არსებული სკოლების დიდი ნაწილი მოდის დედაქალაქზე, ეს არის დაახლოებით 60%, დანარჩენი 40% ნაწილდება რეგიონებში, ეს არის ქუთაისი, ბათუმი და სხვადასხვა ქალაქი, სურათი არ არის ერთგვაროვანი. 200-მდე სკოლაა ქვეყანაში, 15 სკოლა დაიხურა, რომლებმაც ვერ გაიარა ავტორიზაცია და ვერ დააუ-

მაყოფილეს სტანდარტი. ამასთან ბაზარზე შემოსულია BGEO კაპიტალი, რომელიც ყოველწლიურად სკოლებს მომხმარებლების რაოდენობა მზარდია, თუმცა ბაზარი იცვლება. გაჩნდა ფილიალები, „მწვანე სკოლის“, „ბაქსუდის“, „ქართულ-ამერიკული“, ფილიალური სისტემა ყალიბდება. სკოლების ნაწილი ძლიერდება, ნაწილი სუსტდება, რაც ბუნებრივი პროცესია, თუმცა რთული მდგომარეობაა რეგიონებში და გარეუბნებში“, – განაცხადა კერძო სკოლა „შავნაბადას“ დამფუძნებელმა ავთანდილ აბდუშაიშვილმა.

მიუხედავად კომფორტისა, საჯარო და კერძო სკოლებში სწავლის დონით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან და მოსწავლეებს ეროვნულ გამოცდებზე ერთნაირი შედეგები აქვთ. აკადემიკოსმა ზურაბ შახნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კერძო სკოლებში განათლების ხარისხი გადასახადთან შესაბამისობაში არ მოდის და ხშირად ძალიან აცდენილია.

– კერძო სკოლებში განათლების ხარისხი ფასზე სულაც არ არის დამოკიდებული. იქ აქცენტი გაკეთებულია ინფრასტრუქტურაზე, დამატებით კლასგარეშე მომსახურებაზე, რაც ბავშვის აღზრდა-განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. ტარიფებიც სწორედ სხვადასხვა ტიპის აქტივობაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება, ცოდნას, სწავლა ფასის შესაბამისი არაა. საერთოდ, განათლება საბაზრო პრინციპებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. განათლება მოგებაზე არ უნდა იყოს გათვლილი. თუკი ძირფესვიანად ააწყობ ყველაფერს, ის მოგებას არ დაგიტოვებს. ჩვენთან პირიქითაა. ფასიანი საგანმანათლებლო დაწესებულებები დიდ მოგებას ტოვებენ, რაც იმის ნიშანია, რომ რაღაც კარგად არ კეთდება“ – აღნიშნა აკადემიკოსმა.

გეგმა დანელია

ასამდე სკოლის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა

დემოფილსწყაროს რაიონის სოფელ ოზანში ახალი სკოლა აშენდა, ხოლო ზემო ალვანსა და სოფელ საქიზოში ორი საჯარო სკოლა გუშინ მინისტრმა გახსნა.

„დღეს კახეთის რეგიონში სამ განახლებულ სკოლაში დაიწყო და გაგრძელდა სწავლა. ჩვენთვის მთავარია არა მარტო ის, რომ განახლდა ინფრასტრუქტურა, არამედ კონცეპტუალურად განახლდა სასკოლო პროცესი. განახლებულ შენობებში იქნება როგორც ციფრული, ისე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. ყველა განახლებულ სკოლაში არის მოწყობილი როგორც ექთნის, ექიმის კაბინეტი, ასევე სხვა საჭიროების მქონე ბავშვებისათვის სპეციალური რესურს-თაბები. ეს არის აბსოლუტურად განახლებული კონცეფციით შექმნილი სკოლები. განათლების სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ზრუნვის საგანია მასწავლებლები, მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გარემო. ამ მიმართულებითაც გვაქვს ძალიან მეტი და სასიამოვნო სიახლეები და გეგმები, მქონდა საშუალება, რომ მესაუბრა დღეს მასწავლებლებთან შეხვედრისას“, – აღნიშნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ.

მისი თქმით, ბოლო ერთი წლის მანძილზე ასამდე საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია და მშენებლობა განხორციელდა.

„ეს ნიშნავს იმას, რომ დაახლოებით 40 ათასამდე მოსწავლეა ამ ყველაფრის ბენეფიციარი. მიმდინარე წელს დაახლოებით 50-მდე სკოლის გახსნას ვგეგმავთ. სრული რეაბილიტაციის და მშენებლობის გარდა, განვახორციელოთ 400-მდე სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რაც ასევე მნიშვნელოვანი პროცესია“, – აღნიშნა წულაძემ.

პოლიტიკურ ძნელადობაში პარტია ხანია, გახვეწილია საქართველო. ამასთან, ეს ძნელადობა აიხსნება არა მხოლოდ გარე ფაქტორების ზეგავლენით, როგორცაა დიდი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინტეგრაციის და კალმონიზაცია, არამედ, განსაკუთრებით, შიდა ფაქტორებით, როდესაც „ორგანიზმს“ უფლება კრიზისი.

ეს მსჯელობა არანაირად არ ეხება ჩვენს ხელისუფლებას (მას სამსჯელო და თავსატეხი საკმაოდ მეტი აქვს), ჩემი გულისტკივილი მიმართულია საქართველოს სულიერი არისტოკრატიისადმი და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მან, არისტოკრატიაში საქართველოში აღარ იარსებოს.

მაგალითისთვის მკითხველს ვურჩევ, მოიპოვოს ელ გრეკოს სურათის კარგი რეპროდუქცია, სადაც ასახულია შუა ხნის მამაკაცის პორტრეტი, ესპანელი დიდებულის, შავი ტანისამოსითა და თეთრი, ნაქარგი საყელოთი და მოოქროვილი ვადიანი დაშნით, რომელსაც გაშლილი მარჯვენა გულთან აქვს მიდებული, ხოლო მკე თვალზე მათემატიკურ უსწორებს უდიდესი სიწარფელითა და ღირსების გრძნობით.

კარგად დაუკვირდეთ სურათს, მასში აშკარად გამოგვეჩვენება ამ პიროვნების როგორც სულიერი არისტოკრატიზმი, ასევე უნარი რაინდული თავდადებისა სიკეთის განსახორციელებლად.

აღარ არსებობენ ასეთი პიროვნებები? – ვიმეორებ: ღმერთმა ნუ ქნას! მაგრამ, უნებლიე სევდა ეუფლება სულს, როდესაც მახსენდება, რომ ელ გრეკოს თანამედროვე იყო სერვანტესი, რომლის გმირს, დონ კიხოსს, რაინდობის იდეალის მატარებელს, უკვე იმ დროს დასცინოდნენ და დიდმა მწერალმა მისი პიროვნება დასაყენივ გახადა, რომელიც ერთდროულად ტრაგიკულიცაა და დიდი პესიმიზმის გამოხვეჭი... „ძნელი არ არის, პესიმიზმის ნიშნები აღმოვაჩინოთ ტორკვატო ტასოს შემოქმედებაში, რაბლესთან და სერვანტესთანაც“... (ა. ლოსევი, ალორქინების ესთეტიკა, 1998, გვ. 58).

ახლა დაუბრუნდეთ ჩემ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, როდესაც ორგანიზმს ეუფლება კრიზისი, გამონეული განსაკუთრებით შიდა ფაქტორებით (ამ დროს ორგანიზმში გველისხმობთ როგორც ადამიანს, ასევე სახელმწიფოს, როგორც პიროვნებას). რა ინვესტორგანიზმის ამ კრიზისს, ანუ სნეულებას? ამ შემთხვევაში „კრიზისში“, „სნეულებებში“, გვესმის არა მათი სამედიცინო ცნება, როდესაც მკურნალობენ სხეულის დაავადებას, არამედ სულის დასნეულება (აქაც არა ფსიქიატრიის გაგებით), რომლის ახსნასაც დავესხებები მითროპოლიტი იეროთეოს ვლახისის შესანიშნავ ნივთს „მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია“ (თბ.: 2008) თავს, „რა არის ვნებები“, იგი ასე იწყებს: „სიტყვა „ვნება“ მომდინარეობს სიტყვიდან „ვიტანება“ და ნიშნავს შინაგან სნეულებას. ფილოთეოს სინელის მიხედვით, „ვნება სულში ხანგრძლივი სნეულებით ჩნდება. ვნახავთ, რომ ცალკეული ცოდვა ვნებად იქცევა. ვნება ეწოდება ცოდვას, რომელიც ხშირად მეორდება და დიდხანს იმალდება სულში. წმინდა მამები ვნებას და ცოდვას ასე განასხვავებენ: ვნება სულში მოძრაობს, ხოლო ცოდვიანი ქმედება სხეულით ხი-

საქართველოში პოლიტიკური ძნელადობაა!

ლულად აღესრულება“ (დასახ. ნაშრ., გვ. 251).

ხომ არ გინდა, მკითხველო? დანაშაული გოგოქარი განსხვავებით, „ჩემი სხეულია და ჩასაც მიწა იმას ვუბარო! და, დამთავრებული, ვალსივრეში შევარდნითა და მღვდლების განქორწინება-შეშინებით“ – აი, ის უიმედო სურათი, რომელიც წარმოგვიდგება ქუჩაში მოხეტიალე ბრძოლს შემხედვარეს.

ახლა მსურს, სამაგალითო პოლიტიკის ნიმუშად მოვიხმო ის აზრები, რომელსაც მე-20 საუკუნის დიდი გერმანელი მოაზროვნე და სამართალმცოდნე კარლ შმიტი გადმოსცემს თავის ნივთს „პოლიტიკის ცნება“ (პირველი გამოცემა 1932 წლისა, მეორე – 1963 წ.; ვისაც დაინტერესებს კარლ შმიტი, შეიძლება, მიუვითოთ მის ორ ნაშრომზე – „პოლიტიკური თეოლოგია“ და „თანამედროვე პარლამენტარიზმის სულიერ-ისტორიული მდგომარეობა“, რომლებიც სრულად ვთარგმნე

შორის“. იგი ძველი პოლიტიკური ცნების ადგილს იკავებს, რომელიც სახელმწიფოებრივს აიგივებს პოლიტიკურთან. მე-20 საუკუნეში ეს უარყოფილი უნდა იყოს, რადგან სახელმწიფოს, საზოგადოებასთან თავისი ჩანსულობით, პოლიტიკური მონოპოლია უკვე აღარ გააჩნია. პოლიტიკურის წარმოება ყველა სფეროდანაა შესაძლებელი, იქნება ეს მეურნეობა, სამართალი, განათლება, ხელოვნება თუ რელიგია. სადაც ადამიანები ისეთიანად არიან ერთმანეთთან ინტენსიურად დაკავშირებული ან ერთმანეთისგან დამორჩეულები, სადაც შეიძლება მეგობრულ-მტრულ დამოკიდებულებებზე ლაპარაკი, სწორედ იქ იმყოფება პოლიტიკა. მეგობრისა და მტრის განსხვავება გახლავთ პოლიტიკური კრიტერიუმი, ე. ი., როგორც უკანასკნელი განსხვავების ნიშანი. იგი ამით ანალოგიურია მორალის კრიტერიუმისა (კეთილი-მორიკი), ესთეტიკურის (მშვენიერი-მახინჯი) ან ეკონომიკურის (რენტაბელური-არარენტაბელური). მტერი არის ყოფიერების მიხედვით სხვა, ყოფიერების მიხედვით პოლიტიკური არსებობის უარყოფა. მისი განსაზღვრება არ შეიძლება არც დებულებით, არც გონებით. შმიტის „პოლიტიკურ ცნებას“ მტერში ესმის მხოლოდ საზოგადოებრივი მტერი, და არა კერძო მონიშნადმდე (ანუ hostis, და არა inimicus). მტერი არის მეგობრის ადამიანების ერთობლიობა, ამასთან, ბრძოლაში იგულისხმება არა კონკურენცია ქონებას ან იდეებში ან მხოლოდ სიმბოლური ბრძოლა, არამედ ფიზიკური მკვლელობის შესაძლებლობა ან სინამდვილე. მტერში არიან ისინი, რომლებსაც შეუძლიათ ფიზიკური განადგურება. სახელმწიფო, თუმცა უკვე არა ერთადერთი ინსტანცია პოლიტიკურისა, შეიძლება, შმიტის მოძღვრების მიხედვით, მე-20 საუკუნეშიც იყოს პოლიტიკური. იგი სხვა კავშირებისგან იმით განსხვავდება, რომ ძალის მეშვეობით განმგებლობა სიცოცხლესა და სიკვდილზე. მოძღვრებები სახელმწიფოს დასასრულზე, იქნება ეს სინდიკალისტური (Duguit), თუ



ელ გრეკო. „ალორქინების ეპოქის ასკეტი“.

პლურალისტურ-თეორიული (Coll, Laski), გვერდს უვლიან სახელმწიფოს სპეციფიკურ ხასიათს. იგი არა მხოლოდ სიცოცხლესა და სიკვდილს განაგებს, არამედ იგი, ამის გარდა, ის ინსტანციაა, რომელიც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაზე გადაწყვეტილებას ღებულობს, ასევე ის ინსტანციაა, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვინ არის შინაური მტერი და ვინ – გარეში.

ახლა საკითხავია, ხომ არ მოხდა კ. შმიტის ამ ბრძნული შეგონების უგულებელყოფა, რომელიც საფუძვლად დაედო შემოწმების რეგანიზმის შიდა პროცესებიდან გამომდინარე კრიზისს, ყოველგვარი გარე ფაქტორების ჩაუვრევლად, ესე იგი,

ხომ არ მოხდა ის, როდესაც სახელმწიფო უკვე პარანაირად ვალდებულა განსაზღვრავს, თუ ვინ არის შინაური და ვინ – გარეში მტერი. ამასთან, ამ პარანაირაობით სიყვარული „მტრის“ შინაარსს და მასში შინაგანადი მტერს, სოფრას და უზიარო ზემოქმედებას, როდესაც ადამიანი თავის სხეულს შორიწილავს.

შემდეგ, კარლ შმიტი ამბობს (ეს უკვე „პოლიტიკური თეოლოგიიდან“): „რადიკალური ბოროტების წინაშე არსებობს მხოლოდ დიქტატურა“ და ამის მაგალითად მოჰყავს მე-19 საუკუნის ესპანელი პოლიტიკოსი დონოსო კორტესი, რომელმაც 1849 წლის 9 იანვარს განაცხადა დეპუტატების კონგრესში: „მე ვამბობ, სენიორებო, რომ დიქტატურა, გარკვეულ გარემოებებში, მოცემულ გარემოებებში, როგორც ახლანდელი, ეს კანონიერი მმართველობაა, ეს კარგი მმართველობაა, როგორც ნებისმიერი სხვა მმართველობა; ეს მმართველობა რაციონალურია, რამდენადაც შეუძლია, თავი და-

იცვას როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაშიც. ხოლო სხვაგვარად, სენიორებო, შეხედეთ, რას წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრება“...

მაგრამ დიქტატურის განხორციელებას სიმაშაცე სჭირდება, ხოლო სიმაშაცის აღმოცენების ერთ-ერთი წყარო გახლავთ მრისხანება, როდესაც კაცი უმჯერს მოზეიმე ბოროტებას. სინამდვილეში, აქ ბრძოლა მიდის არა ადამიანების წინააღმდეგ, არამედ უხილავი ბოროტი სულების წინააღმდეგ (ეფესელთა მიმართ 6,12). ნეტარი ავეუსტინე თავის თხზულებაში, „ღვთის ქალაქის შესახებ“, რომელიც დაწერილია 413-427 წლებში, ამტკიცებს, რომ ორი სამეფო ებრძვის ერთმანეთს – სამეფო მიმართული ამქვეყნიურზე, ღვთის მტრების სამეფო (civitas terrena ან diaboli) და ღვთის სამეფო (civita dei). მაგრამ საქმეს ის ართულებს, დასძენს ავეუსტინე, რომ ღვთის ქალაქი და მიწიერი სამეფო „გადაჯახებულია და არეულია ერთმანეთში“. აქედან გამომდინარე, იგი მკითხველს აფრთხილებს, რომ არ მიაკუთვნონ ადამიანი განსაზღვრულად ამ ორი სამეფოდან ერთ-ერთს. თითოეულ მათგანს საბოლოოდ საშინელი სამსჯავრო გამოაპყარავებს. მაგრამ ქრისტეს მეორედ მოსვლამდე ბოროტებასთან ბრძოლა აუცილებელია.

ქრისტიანობისთვის ამქვეყნიური სახელმწიფო ვერასდროს იქნება იდეალური, რადგან მას ყოველთვის ახლავს ბოროტება – „მთელი მყვანა ბოროტებაშია დანთქმული“ (პირველი იოანე 5,19). სხვა სიტყვებით, იდეალური სახელმწიფო თუნდაც იმით ვერ შეიქმნება, რომ მისი შემქმნელი უნდა იყოს ადამიანი, რომელშიც უკვე ბოროტებაა ჩასახული პირველყოფიდან (ადამის ცოდვიდან) მოყოლებული, ხოლო ასეთი ადამიანი, დიდი სურვილის მიუხედა-



პოლიტიკურის ცნება. გახლავთ „განსხვავება მეგობრისა და მტრის“. იგი კვალ პოლიტიკური ცნების ადგილს იკავებს. რომელიც სახელმწიფოებრივს აიგივებს პოლიტიკურთან. მე-20 საუკუნეში ეს უარყოფილი უნდა იყოს. რადგან სახელმწიფოს, საზოგადოებასთან თავისი ჩანსულობით, პოლიტიკური მონოპოლია უკვე აღარ გააჩნია.

კარლ შმიტი

და გამოვაქვეყნე „ფილოსოფიურ-პოლიტიკურ კრებულებებში“ 2020 და 2021 წწ.).

პოლიტიკურის ცნება, კარლ შმიტის სახელგანთქმული ფორმულის მიხედვით, გახლავთ „განსხვავება მეგობრისა და მტრის

პოლიტიკური. იგი სხვა კავშირებისგან იმით განსხვავდება, რომ ძალის მეშვეობით განმგებლობა სიცოცხლესა და სიკვდილზე. მოძღვრებები სახელმწიფოს დასასრულზე, იქნება ეს სინდიკალისტური (Duguit), თუ

ვად, ვერ განახორციელებს სიკეთეს, მისი სახელმწიფო ყოველთვის იქნება ბოროტების თანაზიარი. მართალია, ნათლობა ადამიანს ჩამოაყენებს პირველ-ცოდვის ბრალეულობას, მაგრამ მასში მაინც რჩება ხორციელი ნდობა, ბოროტების საწინდარი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

როგორც ვხედავთ ჩვენს წინაშე დიდად პესიმისტური სურათი დაიხატა. რა ვქნათ, ფარ-ხმალი დავყაროთ? – არავითარ შემთხვევაში! ისევ იმ სულიერი არისტოკრატების იმედი მაქვს, რომლებიც ბრძოლას გააგრძელებენ.

დავუბრუნდეთ ჩვენი წერილის დასაწყისს. როდესაც ელ გრეკოს შექმნილ პორტრეტს გავისხენებთ, ნუ დავგავიწყდებთ, რომ მხატვრის სამშობლო გახდა ქალაქი ტოლედო, რომელიც კოსმოპოლიტური სევილიისგან სრულიად განსხვავდებოდა. ტოლედო იყო რელიგიური ცენტრი და მრავალი სასულიერო ორდენის სამყოფელი, იქ ცხოვრობდნენ, გარდა სასულიერო პირებისა, მოხე-ლეები, სწავლულები, ყოფილი სამხედროები, რომელთა შესახებ დროის ტრადიციული იყო: შავი ტანსაცმელი, თეთრი მრგვალი საყელო და თეთრი მანუეტები, არცთუ იშვიათად – რაინდული აღჭურვილობა, ნიკაპზე ჩამოგრძელებული წვერი... მათ ელ გრეკო მოდელვებად იყენებდა ისეთი სურათის შესაქმნელად, როგორც იყო „გრაფი ორგაციის დაკრძალვა“ (Kazimierz Zawadowski, El Greko, Berlin 1979, S. 9). ფაქტობრივად, ქალაქი ცდილობდა გარეშე ცოდვის მოძალეებიდან თავდაცვას, ცხადია, შინაგანი ზნეობრივი ხრწნისგანაც. ქალაქი ტოლედო ისეთსავე როლს ასრულებდა, როგორც შუა საუკუნეებში ქრისტიანული იმპერიები, რომლებიც ცდილობდნენ მეორედ მოსვლისა და სამხედრო სამსჯავროს შეკავებას, რომელთა უწინარეს უნდა გამოჩენილიყო ანტიქრისტი.

**დღესაც ეს ბრძოლა გაა-
ლაბით მიმდინარეობს და
ანტიქრისტის გამოჩენას
წინ აღოგება სულიერი
არისტოკრატია როგორც
ლოცვით, ასევე სხვადასხვა
მსხვერპლად მიტანილ.
ნუ დაჰკარგავთ იმედს,
მაგრამ ვაგასთან ერთად,
უნდა გვახსოვდეს მოცი-
ქულის სიბრძნე: „ჯერ-
ჯეროვით კი ეს საზიად:
სარწმუნოება, სსოვება და
სიყვარული; სოლო ამათ-
ში უმადანი სიყვარული“
(პირველი კორინთელთა
მითარა, 13.13).**

ვიძმორ რცხილაძე



დიდ ქვეყნებთან საქართველოს არასოდეს გასდის მართალი

ყარსის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, თავის დროზე, სომხეთ-თურქეთისა და საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრების დემარკაცია შედგა, დღესაც ხშირი განხილვის თემაა, რადგან, ამ ცნობილმა დოკუმენტმა დიდი გავლენა იქონია საქართველოსა და სომხეთის მომავალზე, თუმცა, მეგრმა არ იცის დაზუსტებით, თუ რატომ და რა პირობების დაცვით დაიდო ეს ხელშეკრულება. ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ქართულ-თურქული და რუსულ-

დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრება და მთავრობა მათუშში გადავიდა. მოსკოვის ხელშეკრულება 1921 წლის 16 მარტს, ანუ, ერთი დღე-ღამით ადრე დაიდო, ვიდრე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელობა ქვეყანას დატოვებდა.

მოსკოვის ხელშეკრულებით, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ტერიტორიებისა და საზღვრების ბედი გადაწყდა.



ყარსის ხელშეკრულების ხელმოწერის დროს

თურქული ურთიერთობები მჭიდრო კავშირში იყო ერთმანეთთან. ხშირად, ორი დიდი იმპერიის სამხედრო დაპირისპირება განსაზღვრავდა ხოლმე საქართველოს ბედს. რუსულ-თურქული კონფლიქტების გამო, ქართული ძირძველი მიწები, ხან თურქეთის ხელში ხვდებოდა და ხან – რუსეთის 1878-79 წლების რუსულ-თურქული ომის შედეგად, რუსეთის იმპერიამ საქართველოს მათუშ და ართვინ-არტანუჯი დაუბრუნა. პირველმა მსოფლიო ომმა, თითქმის ყველგან, ქვეყნების საზღვრები შეცვალა. მათუშა და ართვინს, ჯერ თურქები და, მოგვიანებით, ინგლისელები დაეუფლნენ. მალე საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან საკმაოდ სწრაფად აღდგა, თითქმის იმავე სახით, როგორც პირველ მსოფლიო ომამდე იყო. ამასობაში, თურქეთშიც და რუსეთშიც, დიდი პოლიტიკური ძვრები მოხდა. რუსეთში, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, ხელისუფლებაში კომუნისტები მოვიდნენ, რასაც მასშტაბური სამოქალაქო ომი მოჰყვა. ომში ანტიკომუნისტურ ძალებს, ანტანტის წევრი ქვეყნები, ინგლისი და საფრანგეთი უჭერდა მხარს. პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა ოსმალეთის იმპერიაც დაშალა. დასაღწეო თურქეთის ნაწილი, სტამბოლის ჩათვლით, ანტანტამ დაიკავა. 1920 წელს სეგრის ხელშეკრულება დაიდო, რომლის შედეგად, თურქეთი უნდა დაეცემოდა მსოფლიო, რასაც მუსტაფა ქემალ ათათურქი და მისი მომხრეები ეწინააღმდეგებოდნენ. თურქეთის სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად სამხედრო კონფლიქტი გაჩაღდა: ათათურქის ძალები ანკარაში იყო გამაგრებული, ანტანტის კი, სამხრ-ძნეთის სამხედრო კონტინგენტთან ერთად, სტამბოლში. ანტანტასთან საბრძოლველად ათათურქს ფული და იარაღი სჭირდებოდა. შოდა, თურქეთს დახმარების ხელი რუსეთმა გაუწოდა. მაშინ რუსეთსა და თურქეთს, ევროპის სახით, ერთი მტერი ჰყავდა. ორივე ქვეყნის მიზანი თავიანთი ყოფილი იმპერიების ტერიტორიების დაბრუნება იყო. სწორედ, ასეთ სულისკვეთებას ეყრდნობოდა მათ შორის დადებული შეგობრობის ხელშეკრულება, რომელსაც მოსკოვში მოეწერა ხელი. მანამდე კი, 1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის მე-11 არმიამ თბილისი დაიკავა. შედეგად,

ამ ხელშეკრულებამ სამხრეთკავკასიის ქვეყნების გაყოფა დე ფაქტო გააფორმა. ყარსის ხელშეკრულებამ კი ეს გაყოფა იურიდიულად გაამყარა. 1921 წლის 23 სექტემბერს, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის ქალაქ ყარსში, თურქეთს, საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოლაპარაკებები დაიწყო, რომელიც ყარსის მმართველის საგანგებოდ მომზადებულ რეზიდენციამ მიმდინარეობდა. მოლაპარაკებების შედეგად, უნდა შექმნილიყო მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს დაარეგულირებდა და, რაც მთავარია, საბოლოოდ გადაწყვეტდა ურთულეს პრობლემას, ანუ სასაზღვრო-ტერიტორიულ საკითხს.

მოლაპარაკებებში, თურქეთის მხრიდან, მონაწილეობდა დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე, აღმოსავლეთ ანატოლიის რკინიგზის უფროსი და აზერბაიჯანში თურქეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.


საქართველოს მხრიდან – სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შალვა ელიაშვილი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ალექსანდრე სვანიძე და შალვა ინგოროყვა წარმოადგენდნენ. სომხეთისა და აზერბაიჯანის მხარეც ასეთივე მაღალჩინოსნებით იყო წარმოდგენილი. მოლაპარაკებებში, სრულუფლებიან მხარედ, საბჭოთა რუსეთიც მონაწილეობდა, რომელსაც თურქეთში რუსეთის ელჩი და საგარეო საქმეთა

სახალხო კომისარიატის კოლეგიის ერთ-ერთი წევრი წარმოადგენდნენ. 13 ოქტომბერს, თურქეთისა და საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის დელეგაციებმა ხელი მოაწერეს მეგობრობის ხელშეკრულებას, რომელიც ისტორიამ ყარსის ხელშეკრულების სახელით შევიდა. დოკუმენტი 20 მუხლისაგან შედგება, აქედან ექვსი ხელმოწერის დღიდან შევიდა ძალაში, დანარჩენი კი რატიფიკაციის შემდეგ.

ხელშეკრულების რატიფიკაცია 1922 წლის 11 სექტემბერს ერევანში მოხდა. ყარსის ხელშეკრულება, ფაქტობრივად, მოსკოვის ხელშეკრულების იდენტური დოკუმენტი იყო, რომლითაც საბოლოოდ დადგინდა ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის საზღვარი. თურქეთ-საქართველოს საზღვარი აჭარის ერთ ნაწილზე გავიდა, რამაც აჭარის მეფე სოფელი შუაზე გახლიჩა. ყარსის ხელშეკრულებით, თურქეთის შემადგენლობაში დარჩა ტაო კლარჯეთი. მათუშის ოლქი კი თურქეთმა საქართველოს დაუთმო. ასევე, გადაწყდა, რომ აჭარას ფართო ავტონომია უნდა მიეღო. აჭარის მოსახლეობას კი, გარანტირებული უნდა ჰქონოდა კულტურული და რელიგიური უფლებები. ყარსის ხელშეკრულებით, სომხეთსაც მოუწიათ თურქეთისთვის დიდი ტერიტორიების დათმობა. კერძოდ, თურქეთს მთა არარატთან ერთად, ყარსისა და არტანის ოლქები გადაეცა. ჯამში, საბჭოთა რესპუბლიკებმა თურქეთს 24 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი დაუთმო. თურქეთმა კი, აზერბაიჯანს ნახიჭევანის ოლქი გადასცა. მოგვიანებით, გაძლიერებული საბჭოთა კავშირი საბაშს ეძებდა, რომ ყარსისა და მოსკოვის ხელშეკრულებების დენონსაცია მოეხდინა, მაგრამ ვერ პოულობდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, თურქეთი ნეიტრალიტეტს კი ინარჩუნებდა. მაგრამ, სინამდვილეში, ჩუმ-ჩუმად ნაცისტურ გერმანიას ეხმარებოდა. ამ მიზეზით, 1945 წელს, სტალინი ყარსის ხელშეკრულების დენონსაციასა და თურქეთისთვის გადაცემული ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრობდა. ამ თემაზე ცხარე დისკუსია მიდიოდა პოტსდამის კონფერენციაზეც, მაგრამ, როგორც საბჭოთა ისტორიკოსები წერენ, ამ საკითხის წამოწევით, სტალინის გეგმაში ტერიტორიების დაბრუნება კი არა, მოლაპარაკებების დროს დასავლეთზე ზეწოლის მოხდენა იყო მთავარი. სტალინის ტაქტიკამ არ გაამართლა. უფრო მეტიც, ამ საკითხის წამოწევით, თურქეთი დასავლეთს დაუახლოვდა. თურქეთის ირგვლივ ატეხილმა ჩოქლომა გამოიწვია ის, რომ 1946 წელს პენტაგონმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბირთვული ომის გასაიდუმლოებული გეგმა გაასაჯაროვა. თურქეთი კი, 1952 წელს ნატოში გაწევრიანდა. 1953 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ საბოლოოდ თქვა უარი ყარსის ხელშეკრულების გადახედვაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა, საქართველომ და აზერბაიჯანმა ყარსის ხელშეკრულება აღიარეს. სომხეთი ჯერ კიდევ ყოყმანობს. სწორედ ამის გამო დღემდე დაძაბულობა თურქეთსა და სომხეთს შორის. რაც შეეხება ამ ხელშეკრულების დენონსაციას, ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ჯერ ერთი, ეს ცალმხრივად ვერ მოხერხდება, და რომც მოხერხდეს, შეიძლება დიდ კონფლიქტში გადაიზარდოს, რაც არავის არ აძლევს ხელს...

**ნუზარ (ბ)
რუხაძე.
POSTV**



თურქეთში დიდი არეულობა... პოლიციამ სტამბოლის მერი დააკავა!

თურქეთის პოლიციამ სტამბოლის მერი დააკავა, – ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო Associated Press-ი, ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით აცხადებს.

თურქული მედიის ინფორმაციით, პოლიციამ სტამბოლის მერი ექრემ იმამოღლუ კორუფციასთან და ტერორიზმთან საგარეუდო კავშირების შესახებ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დააკავა.

ამასთან, პროკურატურამ დაახლოებით, 100 ადამიანის, მათ შორის, მიზნისმენებისა და ჟურნალისტების დაკავების ორდერები გამოისცა.

ხელისუფლებამ სტამბოლის გარშემო გზები დაკეტა და მომდევნო ოთხი დღის განმავლობაში, ქალაქში დემონსტრაციების ჩატარება აკრძალა, თუმცა, ანკარასა და სტამბოლში გუშინ მრავალათასიანი მიტინგები გაიმართა.

19 მარტს სტამბოლის უნივერსიტეტმა თურქეთის

მთავარი ოპოზიციური „რესპუბლიკური სახალხო პარტიის“ წევრს ექრემ იმამოღლუს დიპლომი სხვადასხვა დარღვევების გამო ბათილად ცნო და ამ ნაბიჯით, ფაქტობრივად, თურქეთის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჩამოართვა.



ერთ დღეში — 63 ქულა!

მთელი საკალათბურთო სამყარო მოუთმენლად ელის 27 მარტს რიგში დანიშნულ წლევეანდელი ევრობასკეტის წილისყრას, მათ შორის კი ოპტიმისტური მოლოდინი ქართველ გულშემატკივარსაც გამოარჩევს.

ბუნებრივია, ჩვენებურთა ამოციები პაერიდან არ მოსულა და მათ ჯვაროსან ლეგიონერთა მიერ სეზონის განმავლობაში თანდათანობით აკრეფილი ოპტიმალური კონდიციები ასაზრდოებს, ეს კი თანაბრად ითქმის როგორც ოკეანის გაღმა, ისე გამოღმა მოთამაშე თანამემამულეებზე.

გბ. წამბულარული სეზონი. გუშინ განსაკუთრებით გაგვახარა **სანდრო მამუკაშვილი**, რომელმაც სან ანტონიოს მიერ ნიუ იორკთან 120:105 მოგებულ შეხვედრაში 28-ქულიანი ძველი სტატისტიკური შედეგიანობის პირადი რეკორდი გააუმჯობესა და ეს ნიშნული 19 წუთში 34 ქულამდე გაზარდა, თანაც თავისი კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერს 7-დან შეიძივე (!) სამქულიანი ჩაუგდო 9 მოხსნასთან, 3 ასისტთან და 1 ჩაჭრასთან ერთად. ისიც სათქმელია, რომ ზოგი ჭირი მარგველიასი არ იყოს, მამუსთვის სათამაშო დროის გაზრდა მნიშვნელოვანწილად გრეგ პოპოვიჩის გუნდის ფრანგი ვენდერკინდი ლიდერის ვენზანიაშას ტრავმამ განაპირობა და მანაც სახელოვანი დამრიგებლის ნდობა სამაგალითოდ გაამართლა.



დაახლოებით მსგავსი სურათია **გობა ბითაძის** შემთხვევაშიც, რომელიც ორლანდოს მეორეადგილოსან, პიუსტონთან წაგებულ ბრძოლაში — 108:116 პარტნიორებს 23 წუთში 19 ქულით, 8 მოხსნით, 1 ჩაჭრით და 1 დაფარებით შეენია. რაც შეეხება მეტიქის თავგაცთა საკადრო პოლიტიკას, ვითარება უცვლელია — ისინი ძირითად აქცენტს მანკეროსა და გერმანელ ძმებ ვაგნერებზე აკეთებენ, რის გამოც გოგა იშვიათად ტოვებს სათადარიგოთა სკამს.

საპირისპიროდ, კვლავაც უკონკურენტოა ტენერიფეს ვეტერანი სული და გული **გიორგი შერმაიძე**. მართალია, ჩემპიონთა ლიგაში კუნძულელთა ზედიზედ მესხეთე გამარჯვებაში მას მხოლოდ 13-წუთიანი ოფლისდგრა დასჭირდა, მაგრამ 10 ქულის მოგროვება თურქულ პეტკისფორთან მაინც მოასწრო — 85:80.

„პსუ“ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა

„პარი სენ-ჟერმენი“ ფეხბურთელმა **ფაბიან რუისმა** Marca-სთან ფრანგული გუნდის შესახებ ისაუბრა.

როგორც მან თქვა, **ლუის მინამე** გუნდის თამაშში რადიკალური ცვლილება მოახდინა და ახლა პსუ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

„პსუ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. შარშან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდეთ, წელს უკვე მეოთხედფინალში ვართ. ამ გზით სიარული უნდა გავაგრძელოთ და იმის ჩვენება, რომ საუკეთესოებში ვართ. გასული სეზონიდან მოყოლებული კარგად ვთამაშობთ, ამ სეზონში კი, მთლიანად იმაზე მოვახერხეთ ადაპტირება, რაც მწვრთნელს სურდა. მართალია, რადიკალური ცვლილება, მაგრამ ოპტიმალურ კონდიციებში ვართ, კარგი მენტალიტეტით ვთამაშობთ, ყველა ტურნირზე ვართ და ჩვენი მიზანია ასე გავგრძელება.“

ყველა თავდამსხმელი ძალიან ზეგრს აკეთებს, როგორც შეტევაში, ისე დაცვაში. ეს არის ის, რასაც მწვრთნელი ითხოვს: შეტევას და დაცვას გუნდურად. ამის არგაკეთებაზე ფიქრის არ შეიძლება, რადგან ვინც არ გააკეთებს, არ ითამაშებს. კარგი შემადგენლობა გვყავს და როცა ვინმე შემოდის, გუნდი არ იცვლება“, — თქვა ფაბიან რუისმა.

შეგახსენებთ, რომ პსუ ლიგა 1-ში 19-ქულიანი უპირატესობითაა პირველ ადგილზე, საფრანგეთის თასზე ნახევარფინალშია, ხოლო ჩემპიონთა ლიგაზე მეოთხედფინალში, სადაც „ასტონ ვილას“ შეხვდება.

მებრძოვს აფასებს

UFC-ის ქვემსუბუქი დივიზიონის ყოფილმა ჩემპიონმა **ალექსანდრ ვოლკანოვსკიმ** ილია თოფურაიას და ისლამ მახაჩევის შესაძლო ჩხუბთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. მისი თქმით, ისლამის დამარცხება თუ ვინმეს შეუძლია, ეს ილიაა.

„მესმის, თუ რატომ არიან მათგან ისლამ მახაჩევი ილიასთან ჩხუბს და ამბობს, რომ მან საჩემპიონო ორთაბრძოლა უნდა დაიმსახუროს. მეც ასე მოვიქცეოდი, ილია რომ ორი წონის ჩემპიონობას ფიქრობდეს, მაგრამ მან ქვემსუბუქი დივიზიონის ქაშირი ვაკანტური დატოვა და ზედა წონაში ასე გადავიდა. ვთვლი, რომ ილია იმასხურებს ამ ბრძოლას, იქიდან გამომდინარე, რომ რეალური ნომერ პირველი კონტენდერი ამ დივიზიონს არ ჰყავს.“



„ისლამი კარგი მებრძოლია და მისი დამარცხება მხოლოდ ნოკაუტით არის შესაძლებელი და თუ ვინმეს მისი დამარცხება შეუძლია, ეს სწორედ ილიაა, რადგან მას საკმაოდ მძიმე ხელები აქვს და გამარჯვებისთვის მხოლოდ ერთი მანძი სჭირდება.“ — განაცხადა ვოლკანოვსკიმ.

შეგახსენებთ, რომ ილია თოფურაიმ 2024 წლის 18 თებერვალს სწორედ ალექსანდრ ვოლკანოვსკის დამარცხების შემდეგ მოიპოვა UFC-ის ქაშირი.

66000-მდე უკრაინელი ძიუდოისტი დარია ბილოდმიდი საფეხბურთო კარიერას იწყებს. მან კონტრაქტი „მეტალისტი 1925“-თან გააფორმა.

ბილოდიდი აქამდე კლუბის ელჩი იყო, ახლა კი, მათი ურთიერთობა ახალ საფეხურს აღწევს — ის გუნდში ითამაშებს და 77-ნომრიან მაისურს მოირგებს.

ს ა ნ ვ რ თ ე ლ პ რ ო ც ე ს დ ა რ ი ა უ ა ხ ლ ო ე ს პ ე რ ი ო ლ დ შ ი შეუერთდება. როგორც კლუბის განცხადებაშია აღნიშნული, იმედოვნებენ, რომ ბილოდიდის ტრანსფერით უკრაინული ქალთა ფეხბურთის პოპულარობა გაიზრდება.

24 წლის დარია ბილოდიდი მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის

ძიუდოდან — ფეხბურთში

ჩემპიონია, ხოლო ერთხელ ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.



საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების 45-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა, ორშაბათს საღამოს „შეჯარდენის“ სანაკრებო ბაზაზე შეიკრიბა და სამშაბათიდან 2025 წლის ექვსი ერის ფესტივალისთვის მზადებას შეუდგა.

გასული ერთი კვირა **ზურაბ აშო-ნაშვილის** შეგირდებმა მარტყოფის ბაზაზე გაატარეს, სადაც შაბათს ორმხრივი თამაში გაიმართა. ამ კვირაში 18-წლამდელეები აშანაგურმატჩს 20-წლამდელთა წინააღმდეგ გამართავენ, უშუალოდ ექვსი ერის ფესტივალზე გამგზავრებამდე კი, თბილისში, „აგჭალაზე“ ფრანგ თანატოლებს შეერკინებინან. შეხვედრა 29 მარტს 16 საათზე დაიწყება და გულშემატკივარს უმცროსი ბორჯღალოსნების გაყილების შესაძლებლობა ექნება.

ზურაბ ამონაშვილის რჩეულთა შორის 6 ლეგიონერია. 4 მათგანი ფრანგული, ორი კი ინგლისურ კლუბს წარმოადგენს. 45 მოთამაშიდან 18 2008 წელსაა დაბადებული და მათ 18-წლამდელთა ნაკრებში თამაში გაისადაც უნევთ. საფრანგეთთან თამაშამდე გუნდს კიდევ ორი ლეგიონერი დაემატება — „ტულონის“ მეორეხაზელი, 18-წლამდელთა კაპიტანი **დამით ბარამია** და „მონპელიეს“ მეორეხაზელი **ნიკოლოზ ჩხრეთილია**. ისინი თბილისში 25 მარტს ჩამოვლენ.

მზადდება ბრძოლდება

GEORGIA
საქართველო

U18

ITALY
იტალია

10.04.25

GEORGIA
საქართველო

U18

WALES
უელსი

14.04.25

IRELAND
ირლანდია

U18

GEORGIA
საქართველო

18.04.25

გუნდის მთავარი მწვრთნელი ზურაბ ამონაშვილი მზადების პროცესისა და შემადგენლობის შესახებ გვიყვება:

„საკუბრები ნაკრები ყოველთვის სპეციფიურია და წელს არ გვყავს ისეთი მასიური ზიგები, როგორიც შარშან გვყავდა. გაფართოებულ შემადგენლობაში 5 ისეთი მოთამაშეა, რომელმაც ექვსი ერის ფესტივალზე შარშანაც ითამაშა, კიდევ 9-მ კი 18-წლამდელთა რაგბი ევროპის ჩემპიონატზე მიიღო გამონაკლისი.“

ექვსი ერის ფესტივალს საფრანგეთი უმასპინძლებს

უმცროსი ბორჯღალოსნები საფრანგეთში 7 აპრილს გაემგზავრებიან და საკურორტო ქალაქ ვიშიში ექვსი ერის ფესტივალზე ითამაშებენ.

ფესტივალში საქართველოსა და ექვსი ერის ქვეყნებთან (ინგლისი, საფრანგეთი, ირლანდია, უელსი, შოტლანდია, იტალია) ერთად, წელს პორტუგალიის ნაცვლად ესპანეთი ითამაშებს.

საქართველომ 18-წლამდელთა ექვსი ერის ფესტივალზე პირველად შარშან ითამაშა და ერთი თამაში მოიგო — საფრანგეთთან 20:19, შოტლანდიას (14:22) და ინგლისს (19:26) კი მცირედით ჩამორჩა.

წლევეანდელი ფესტივალი 10 აპრილს საქართველოსა და იტალიის მატჩით გაიხსნება; 14 აპრილს უელსს ვეთამაშებით; 18 აპრილს კი ირლანდიას ვერკინებით.

«ახალი ქართული მოთხრობა» – გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი

**მწერალთა სახლი
ახალგაზრდა
ავტორებისთვის ასხალებს
გურამ რჩეულიშვილის
სახელობის ლიტერატურულ
კონკურსს „ახალი
ქართული მოთხრობა“**



მწერალთა სახლის ინფორმაციით, კონკურსის მიზანია ახალი ავტორების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობა.

კონკურსი ქმნის პლატფორმას, სადაც 18-26 წლის ასაკის ავტორებს შეუძლიათ, წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი. ახალი თაობის მწერლების წარმოჩენითა და ხელშეწყობით, კონკურსი ხელს უწყობს ქართული ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელებასა და განახლებას. პრემია ყოველწლიურია და გაიცემა 2 ავტორზე.

შანრი და თემატიკა თავისუფალია.

გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება 4 ივლისს, მწერლის დაბადების დღეს.

პრემიის საპრიზო ფონდი შეადგენს 10,000 ლარს.

პრემია გაიცემა 2 ნომინაციაში:

- რჩეული მოთხრობა
- რჩეული ღებუთი

კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა:

- რჩეული მოთხრობა – 3,000 ლარი
- რჩეული ღებუთი – 2,000 ლარი
- ჭილდო სიმბოლიკით.

მონაწილეობის პირობები და წესები:

- განაცხადები მიიღება 20 მარტიდან 21 აპრილის ჩათვლით.
- მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს 18 წლიდან 26 წლის ჩათვლით.
- საკონკურსოდ დაიშვება მხოლოდ ერთი მოთხრობა.

განაცხადების წამისტრატია:

- ყველა მოთხოვნილი ფაილი უნდა გაიგზავნოს ელ.ფოსტაზე: info@writershouse.ge
- კონკურსანტი მიიღებს შეტყობინებას განაცხადის რეგისტრაციის შესახებ.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკი“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანასტასია ივანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ანასტასია ივანიძე (3/6 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. N9/12; თბილისი, ქუჩიანის (ზაქარაძის) ქუჩა #15
- უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ქუჩიანის (ზაქარაძის) ქუჩა N15 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.024.031)
- უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამატალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 30837.89 ლარი.
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2025 წლის 20 მარტი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2025 წლის 3 აპრილი, 14:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის N71271HZP106693525; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1066935
6. მოვალე: ანასტასია ივანიძე (3/6 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. N9/12; თბილისი, ქუჩიანის (ზაქარაძის) ქუჩა N15
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, მარტავას ქ. N40, სართული 11.
8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დამაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP106693525; ლოტის ნომერი: 1066935).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 3 აპრილის 12:00 საათამდე.



ცნობილი გახდა ვაჟიშვი მოკლული გიგანტის, ლევან ჯანგველაძის მკვლელობის დამკვეთი.

მელია გვარამუშვიტს, რომ „კანონიერი ქურდის“ ძმის მკვლელობა „კრიმინალურმა ავტორიტეტმა“ ლაშა მუშანაშვილმა დაუკვეთა.

შეგახსენებთ, რომ, 14 მარტს, ჭავჭავაძის გამზირზე მოკლული ლევან ჯანგველაძე ე.წ. კანონიერი ქურდის მერაბ ჯანგველაძის ძმაა. მკვლელობის დღეს ის ახლობლის პანაშვიდზე იმყოფებოდა. მკვლეელი მას სადარბაზოსთან ჩაუსაფრდა და 10-მდე ტყვია ესროლა.

ლაშა მუშანაშვილი (რუსთავესკი) ლევან ჯანგველაძის მკვლელობის დამკვეთია!



დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გავრცელებული ინფორმაციით, „ქილერს“ სოლიკონის ნილაში ეკეთა. შემთხვევის ადგილას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ, სამართალდამცველებმა მისი ვინაობის დადგენა მაღევე შეძლეს.

მკვლელობის საქმეზე დაკავებულია გელა უძილაური. ლევან ჯანგველაძის მკვლელობის ბრალის დადასტურების შემთხვევაში, უძილაურს 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა ემუქრება. დანაშაულის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები ამ დრომდე გრძელდება.

დამნაშავე ცხელ კვალზე დააკავეს

გლდანში 19 მარტს, დილით, მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი საცხოვრებელ სახლში მოკლეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, დაკავებულია ერთი პირი, გა-

მოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცი ცხელ კვალზე დააკავეს.

კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე ნარსულში ნასამართლავი პირს 10 წლამდე სიხა ელოდება!

„შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერული სისტემის ხელყოფისა და კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე, ნარსულში ნასამართლავი 2002 წელს დაბადებული ი.ო. დააკავეს.

დამნაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებუ-

ლი, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, სოციალური ქსელი „ფეისბუქის“ პლატფორმაზე სხვადასხვა მოქალაქის პირად გვერდებს უნებართვოდ დაეუფლა, რის შემდეგმაც, მათი სახელისა და გვარების გამოყენებით, სხვადასხვა პირს უკავშირდებოდა და თანხის სესხებას სთხოვდა. ბრალდებული ი.ო. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით რამდენიმე მოქალაქის თანხას მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა. სამართალდამცველების მიერ, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამ ეტაპზე, 25 დამარალებული მოქალაქე გამოვლინდა.

ისევ ნარკოტიკების დიდი ოდენობით გასაღების ფაქტი!

პროკურატურის განცხადების კვალდაკვალ

ნარკოდანაშაულისთვის დაკავებული ცხრა პირიდან ორს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდა. საზღვარი ნარკოტრაფიკაციის ეპიზოდზე. პატიმრობა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების გასაღება, ასევე გასაღების მცდელობა – ასეთია ბრალის შინაარსი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ცხრა დაკავებულნიდან ოთხი ნარკორეალიზატორია – ბრალდებულებს შორის არიან როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები. მათი ნაწილი ნარსულში ნასამართლევია.

ერთ-ერთი დაკავებულის ადვოკატი დარიკო თორდია აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი დანაშაულს არ აღიარებს.

– არ აღიარებს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს, თავს არ ცნობს დამნაშავედ, აქედან გამომდინარე, დამატებით კომენტარის გაკეთება არ შემიძლია, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ შემიძლია სხვა ფაქტებზე ვისაუბრო, – აცხადებს ადვოკატი.

კიდევ ერთი დაკავებულის ადვოკატი თამარ დობტურიშვილი აცხადებს, რომ წარმოდგენილ მტკიცებულებებში, უშუალოდ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მხრიდან, ნარკოტიკებთან შეხება არ ჩანს.

– აღიარებდა ალიფი არ აღიარებს, მიიჩნევს, რომ მას შემხებლობა არ შეეძლო საერთოდ და აზრადღებდა – ასეთი პოზიცია აქვს. რაც შეეხება მტკიცებულებებს – ჯერ რაღაც ნაწილია წარმოდგენილი და უშუალოდ, მისი შემხებლობა ნარკოტიკთან არ ჩანს. საქმის მასალებზე, ამ ეტაპზე, ვერ ვისაუბრებ, – აცხადებს ადვოკატი.

საქმის პროკურორი ვახტანგ ცალოელაშვილი კი ამბობს, რომ საქმეში დევს როგორც მოწმის ჩვენება, ისე აუდიო-ვიდეომტკიცებულებები, რომელიც დაკავებულების დანაშაულს ადასტურებს.

– იმისთვის ნარკოტიკული საშუალება კოკაინის უკანონო რეალიზაციის სამ ეპიზოდში, ბრალდების მხარე ვიშუამდგომლო, რომ ორივე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული ყოფილიყო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, ვინაიდან არსებობდა საფრთხე როგორც მიმალვის, ისე მოწმეზე ზემოქმედებისა და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების. სასამართლომ სრულად გაიზიარა ჩვენი შუამდგომლობა და ორივე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნა პატიმრობა. მოცემულ საქმეზე არის როგორც მოწმის ჩვენებები, ისე აუდიო-ვიდეომასალა, რომელიც გადაღებული იქნა საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისას, ამოღებულია ნივთიერი მტკიცებულებებიც, – აცხადებს პროკურორი.



88 წლის იეჰა კახიანი – ეპოქის თაყაიშვილის როლი



ამერიკაში მოღვაწე რამაზ გლუაშვილი ეპოქის თაყაიშვილ-ზე ფილმს იღებს. ფილმის სამუშაო სახელია „ნათელი სიმბოლე-ნი“. დიდი ნაწილი გადაღებულია კახეთსა და საგურამოში.

დიდი ქართველი მამულიშვი-ლის როლი გლუაშვილმა 88 წლის იეჰა კახიანს ანდო. როგორც მსა-ხიობი ამბობს, ეს მისთვის დიდად საპასუხისმგებლო როლია. ის გაოგ-ნებულია იმ სიკეთეებით და დიდი საქმეებით, რაც ექვთიმეს სამშო-ლოსთვის აქვს გაკეთებული.

იმედო პასიანო: ჩემო ძვირფა-სო, ამ როლს გენიოსი მსახიობები ინატრებდნენ. პასუხისმგებლობის გრძნობა სულ მქონდა, ნებისმი-ერი როლის თამაშისას, თუმცა როცა კლასიკას და ისტორიულ გმირს ეხები, გაცილებით საპასუ-ხისმგებლოა. დიდი მოთხოვნილე-

ბა, თამაში ზევით უნდა ასწიო. მე პლატონ სამანიშვილის როლის თამაშის დროსაც დიდ პასუხისმ-გებლობას ვგრძნობდი, ისიც კლა-სიკაა. „სამანიშვილის დედინაცვა-ლი“ იმ დროს საქართველოს ყვე-ლა თეატრში იდგმებოდა. და ელ-დარმა ეს როლი რომ მომცა, ძა-ლიან ვეცადე, რომ კარგად შეთა-მამა.

უნდა ნახოთ, განძი რა ტანჯ-ვით ჩაიტანა ექვთიმე საფრან-გეთში. შესანახი ფული რომ არ მქონდა, ამ ყუთების დამალვა და-ინყო. მერე პარიზში გერმანელე-ბის შესვლამ ახალი პრობლემები გააჩინა.

ექვთიმეს რუსის ქალი ჰყავდა ცოლად, პალტარაცკაია. შვილი არ მყოფი. ცხოვრობდნენ ლე-ვილი და ეს ყუთები სარდაფში მქონდათ გადამალული. შემოდან ნაგავი ეყარათ და უვლიდნენ. იქვე ათენებდნენ, პატრონობდნენ.

კვება უქონდა. თხა იყიდეს, აძოვებდნენ და იმით იკვებებოდ-ნენ. მერე ეს ქალი ავად გახდა, ნამალი ვერ იყიდეს და გარდაიც-ვალა. იქ არის, ლევილი დაკრ-ძალული. ერთხელ რამო თამუკაშ-

ვილი შემხვდა საფრანგეთში და წამიყვანა და მაჩვენა საფლავი. (ექვთიმეს ცოლის როლი კირა ანდრონიკაშვილია.)

მერე სტალინმა ჩამოიყვანა ზარ-ზეიმით და ლევილეს კითხუ-ლობდა. ერთხელ ერთმა ოჯახმა სტუმრად დაპატიჟა. მივიდა ექ-ვთიმე და ნახა, რომ დიასახლისს გულზე თამარ მეფის ჯვარი ჰქო-ლია. გადაიარა. ეს საგანძური ძლიერ დააბრუნა უკან და ხედავს, რომ აქ გულზე უკეთია ქალს. მის-ვდა, რომ კაცებზე ამ ფასდაუდებელ ნივთებს ან ყიდდა ან არუქებდა ან სახლში მიჰქონდა. იქვე კაცებზე შენიშნა, რომ ექვთიმე ნახა ეს ჯვარი.

ხმა გაუვრცელეს, ნახევარზე მეტი განძი საფრანგეთში გაყიდა. არადა, იმაზე მეტი დააბრუნა, ვიდრე წაიღო. ეს ფაქტი ფილმშიც არის გადაღებული.

დადინებთან სახლში ისტორი-ული ნივთი ნახა და ისიც წამოი-ღო. დადინებმა უჩივლეს, მაგრამ სასამართლო ექვთიმე მოიგო. მან დაამტკიცა, რომ ეს საუკუნე-ების წინანდელი საქართველოს განძი იყო.

მოკლედ, განძი რომ უპოვეს, დააპატიმრეს, გააგდეს უნივერსი-ტეტიდან. ბრალს სდებდნენ, რომ გაყიდა დიდი ნაწილი. საინტერე-სოა, დაკითხვის სცენები. გიჟდე-ბა ექვთიმე, რას ჰქვია გავყიდო. გაყიდა კი არა, მსოფლიოს მთა-ვარი მუზეუმების დირექტორებმა ამ უნიკალური ნივთების გამოფე-ნის საშუალების მიცემა ითხოვეს. ეს დიდ შემოსავალს მოიტანდა. ვერც ამაზე დაიყოლიეს. დაკარ-გვის ემინოდა. მერე ლევილის მუ-ზეუმის დირექტორმა სთხოვა, ხელშეკრულება გაეფორმებო, თუ ოდესმე რაიმე ნივთის გაყიდვას გადაწყვეტო, პირველი ჩვენ შეგ-ვატყობინებო. არც ამაზე დათან-ხმდა. ისეთი წვალებით ჩამოიტანა აქ და სამშობლოში ცილს სწამებ-დნენ... მოკლედ, პროცესში ვართ. ვნახოთ, რა გამოვა...

მცხეთაში სასწრაფო დახმარების ეპიდემიის განმარტება



ნაგვისიერი გამოყენება უდიდესი პა-სუხისმგებლობაა, მაგრამ ყველაზე მე-ტად საპასუხისმგებლო ახალ სიმოცხ-ლესთან შეხვედრა – ამის შესახებ, სას-წრაფო დახმარების ექიმი თამარ ოსეაშ-

ვილი აღნიშნავს და იმ გამოძახებას ისხენებს, როდესაც ორსული ქა-ლი ბრიგადის ექიმებმა კლინიკისკენ მიმავალ გზაზე ამშობიარეს. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს და ახლა მათზე სამშობიაროში ზრუნავენ.

„როგორც პაციენტმა ბრიგადის წევრებს უთხ-რა, მას უკვე დაწყებული ჰქონდა მოვლითი ტკივი-ლები. პოსპიტალიზაციის დაწყებდან ზუსტად 5 წუთში ორსულს ტკივილი გაუძლიერდა და სამშობიარო-ში ტრანსპორტირებისას დაიბადა გოგონა წონით 3 კილოგრამი და 300 გრამი.

თამარ ოსეაშვილის თქმით, ბრიგადის ექთანს თამარ გალახიშვილი წლების განმავლობაში მეან-გინეკოლოგიის განყოფილებაში მუშაობდა და მისი სამუშაო გამოცდილება მოცემულ მო-მენტში ძალიან გამოადგათ. ბრიგადის ექიმებისა და მძღოლის პროფესიონალიზმის დამსახურებით დე-დაც და ახალშობილიც თბილისის ერთ-ერთ სამშო-ბიაროში იქნა შეყვანილი.



დიდბარხის მესამე უზიდული ჯგერის თაყვანისცემა

23 მარტს საქართველოს წმიდა მართლ-მადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდბარ-ხის მესამე კვირიაკეს ხელდება პატიოსანი ჯგერის საკურთხეველიდან მოღვწეულთა წინაშე გამოზ-რანებით... იგი მორწმუნეებს უფლის ვნებებს ასხენებს და რწმენაში აძლიერებს.

ტრადიციისამებრ, პატიოსანი და ცხოველმყო-ფელი ჯგერის თაყვანისცემის შედეგად ყვაილენ-ბით შემკულ ჯვარს ტაძრებში, შუა აღდგომას და-აბრძანებენ. მოღვწეულნი და ეკლესიის მსახურ-ნი მთელი კვირა თაყვანს სცემენ შემკულ ჯვარს და ეამბოვებიან მას. ამ დროს გამოიხატება ტროპარს: „ჯვარსა შენსა თაყვანს ვცემო მუუფო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობო და ვადიდებო“.

ამ დღესასწაულზე შესრულებული წესით მარ-თლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია შეგვა-გონებს, რომ ჩვენ ხილულად ვხედავთ პატიოსან ჯვარს, როგორც მოთმინების, მღვდარების, მხნე-ობისა და კეთილ საქმეთა კეთების ნიშანს, მარ-ხვით დაუღლელობის სიმბოლოს...

გიული ლიპარტია

არტდემოს დედოფალი – «ბალერა პერეა»

გამოყვანა ეძღვნება გამოჩე-ნილ პოლონელ მხატვარს თამა-რა დე ლემპიკას, რომელიც მსოფ-ლიოში არტდემოს მიმდინარეობის სიმბოლოდ არის აღიარებული.

„გამოყვანის გახსნის ღონისძიე-ბა გაიმართება „გალერეა ვერეში“, ა.წ. 20-27 მარტს. საგამოფენო სიე-რცეში წარმოდგენილი იქნება მხატ-ვრის ყველაზე ცნობილი ნამუშევრები (ორიგინალის ზომის, ოფიციალუ-რად დამტკიცებული პრინტების სა-ხით), მათ შორის, „ავტოპორტრეტი ანუ თამარა მწვანე პუგატიში“ (1929) და „ახალგაზრდა ქალი ხელოთამა-ნებით“ (1930). თამარა დე ლემპი-კა 1894 წელს ვარშავაში დაიბადა. ის პორტრეტული უნარისა და არტ-დემოს მოძრაობის ერთ-ერთი თვალ-საჩინო წარმომადგენელი გახლავთ. მისი პორტრეტები ერთდროულად თამაში, მგრძნობიარე და მოდერნი-ტული ხაზებითა და ქალის ფორმე-ბისადმი უჩვეულო, მხოლოდ მისთ-ვის დამახასიათებელი მიდგომით გა-მოირჩევა. ამ უნიკალური სტილის



წყალობით, ლემპიკას ნამუშევრები „ჯგერის ეპოქაში“ მოდურობისა და დახვეწილობის სინონიმებად აღიქ-მებოდა. მის გამოშვებულობაში ერ-თმანეთს ერწყმის მოდერნიზმისათ-ვის დამახასიათებელი სწორხაზოე-ნება და მაკდური სენსუალობა, რამაც პოლონელი ფერმწერი მე-20 საუ-კუნის ერთ-ერთ ყველაზე სახელმოხ-ველ არტისტად აქცია.

დამთავალიერებლებს საშუალე-ბა ექნებათ, იხილონ თამარა დე

ლემპიკას ცნობილი ნამუშევრები, მათ შორის ის შედევრებიც, რომლე-ბიც ხელოვნების მოყვარულებსა და კოლექციონერებს დღემდე აღაფ-როთავნებს. ლემპიკას ვიზუალური ენა ახლაც ისეთივე შთამბეჭდავი და პოპულარულია, როგორც მისსავე ეპოქაში. „გალერეა ვერეში“ ექს-პოზიცია ა.წ. 27 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. გახსნის ღონისძიე-ბასა და გამოფენაზე დასწრება უფა-სია ყველა მსურველისთვის.



საქართველოს რედაქცია

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სვანტაჰა ქობულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაძიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
ალექო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კვეკელია,
მია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის აზრი,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს სოციალური
ქსოვიდან და სხვა
გამოცემისგან გამომდინარე
გადმოგზავნილ, ან უსხოური
პრესიდან თარგმნილ
მასალების, ფაქტების,
ინფორმაციის სიზუსტეზე.

იზექდება სტამბა
„ქოლორში“
ე. ბაღდაძის №3

„**კოლორ**“
ჯგუფი
uac(უაქ)070.4(479.22)
C-323



რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნაგვისიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG000000538329790

გაზეთის
მოგზავნა
ნოვარი გამოვა
ორშაბათს.
24 მარტს